

F 171
1971

აქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბიბინებათა და ინსტრუქციათა¹

**კ რ ე ბ უ ლ ი
СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

Министерства просвещения Грузинской ССР

2

თებერვალი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ.
29 დეკემბერის ბრძანება № 747

1969—1970 სახწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავ-
რებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების
შედეგების შესახებ

წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ სკოლების
დიდ ნაწილში მიმშენელოვნად გაუმჯობესდა სწავლა-აღზრდის
საქმე, უფრო მტკიცედ ისწავლება ცალკეული სასწავლო დისციპ-
ლინები; მასწავლებლები სწავლების პროცესში უნარიანად იყენებენ
აალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებას, სწავლების, ტექ-
ნიკურ საშუალებებს, ლაბორატორიული და სხვა-სახის პრაქტი-
კულ მუშაობას. 1969—1970 სასწავლო წელს საშუალო სკოლის
კურსდამთავრებულებმა, განსაკუთრებით მედალისნებმა, უმაღლეს
სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლე-
ბის—მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზი-
კის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების უფრო მკვიდრი და
აფუძვლიანი ცოდნა გამოამეუავნეს. სერიოზული ღონისძიებები
გატარდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფორმალიზმისა და
ლიბერალიზმის აღმოსაფხვრელად, რის შედეგად საგრძნობლად,
ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის ღონე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1970 წელს რესპუბლიკის უმაღლეს
სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე 1969—1970 სასწავლო
წელს კურსდამთავრებულ არცერთ მედალისანს, გარდა თბილისის
სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა, არადამაკმაყოფილებელი
შეფასება არ მიუღია.

მიუხედავიდ იმისა, რომ სკოლებში შემცირდა ხელოვნური
ნიშნების ამაღლების შემთხვევები, 20.698 კურსდამთავრებულ მუშა-
ორადამაკმაყოფილებელი შეფასება მშობლიურ ენასა და ლიტერა-
ტურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და

ისტორიაში მიიღო 1971-მა. აქედან 133 კურსდამთავრებული სკოლის მიერ შეფასებულია „5“-ზე, 922 კი — „4“-ზე.

უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების შედეგები გებმა ცხადჰყო, რომ სკოლების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. აღვილი აქვს ლაბე ჩალიზმის მავნე პრაქტიკას, მასწავლებლების მიერ ნიშნების ხელოვნურად ძალა ების შემთხვევებს, რაც ასუსტებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობას საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნის შეძენისადმი.

1969—1970 სასწავლო წელს ზოგიერთ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჩაოდენობის 20-მა და მეტმა პროცენტმა უმაღლეს სასწავლებლებშა მისაღებ გამოცდებზე ღრადამაყმაყოფილებელი შეფასება მიიღეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ისტორიაში. მათ შორის ხუთმა და მეტმა: თბილისის მე-12 (დირექტორი გ. ჩეჩელაშვილი, მასწ. ი. ლიანიძე), მე-14 (დირექ. გ. ცეიტიშვილი, მასწ. ე. არევაძე და შ. კორიძე), 114-ე (დირექ. ი. შენგალია, მასწ. შ. დალაქიშვილი), 129-ე (დირექტორი ი. შარაშვილი, მასწ. გ. სვანიძე), 46-ე (დირექტორი თ. ჭანტურიშვილი, მასწ. ვ. შარაშვილი), 47-ე (დირექტორი თ. ჩიხლაძე, მასწ. დ. ჩხეიძე), 57-ე (დირექტორი ა. კოროხაშვილი, მასწ. ს. სულაძე, მ. მებზევაშვილი), მე-60 (დირექტორი ვ. ჯიქია, მასწ. თ. მანჯგალაძე, ქ. მელქიძე), 62-ე (დირექტორი გ. ონიანი, მასწ. ნ. ბუაძე), 102-ე (დირექტორი ც. კიუნაძე, მასწ. ი. რამიშვილი, ლ. ილინა), 65-ე (დირექტორი გ. ჩალაური, მასწ. ი. ცერაძე, ა. არჩევაძე), 87-ე (დირექტორი გ. სვანიძე, მასწ. რ. თათენაშვილი), 117-ე (დირექტორი ვ. გოგიაშვილი, მასწ. თ. ლარიბოვა, ე. ასლანიშვილი), მე 4 (დირექტორი ა. ქურიძე, მასწ. მ. გვაზავა), ცხინვალის რაიონის ძარშმის (დირექტორი ი. მაისურიძე, მასწ. ს. ოთიანაშვილი), ქ. რუსთავის მე-10) დირექ. თ. იოსელიანი მასწ. ნ. იობიძე), მე-16 (დირექ. ტ. ლაბახუა, მასწ. დ. გაბუნია), ქ. ზუგდიდის მე-2 გ. ჩხოლარია, მასწ. ლ. გუბელაძე), მე-3 (დირექტორი მ. აბსანძე, მასწ. ა. ფოჩქუა), აღიგენის რაიონის უდეს (დირექტორი მ. კოპაძე, მასწ. შ. თათოშვილი), ასპინძის (დირექტორი ნ. დიასამიძე, მასწ. ს. ზედგენიძე), ბორჯომის 1-ლი (დირექ. ა. შაყულაშვილი, მასწ. ხ. ქურდაძე, ნ. გოგიაშვილი), გარდაბნის რაიონის მარტყოფის (დირექტორი ე. ნატროშვილი, მასწ. ნ. ლევიშვილი), ლამანისის რაიონის გომარეთის (დირექტორი ვ. მუჯირიშვილი, მასწ. ა. ას-

ლანაძე, ა. ბაინდურაშვილი), განთიადის (დირექტორი ვ. აკო-
 ტოვი, მასწ. ა. ხიზანიშვილი), კასპის რაიონის კავთისხევის (დირექტორი
 რექტორი ა. მუხიგულაშვილი, მასწ. 6. ნონიქაშვილი), ორჯონი-
 კიძის რაიონის ლეღვანის (დირექტორი პ. შარიქაძე), მასწ. გ.
 ცხვედაძე), მოლითის (დირექტორი ნ. გელაშვილი, მასწ. გ. კაკია-
 შვილი), ლაგოდების რაიონის აფენის (დირექტორი კ. სხირტლაძე,
 მასწ. ა. შუბითიძე), ლანჩხუთის 1-ლი (დირექტორი გ. ჩხაიძე,
 მასწ. 6. ვადაჭეკორია), მახარაძის 1-ლი (დირექტორი ნ. შუბლაძე,
 მასწ. ც. მელიქაძე, ც. ლოხიშვილი), მე-2 (დირექტორი გ. კალან-
 დარიშვილი, მასწ. მ. მემარნიშვილი), ლიხაურის (დირექტორი
 რ. ბურჭულაძე, მასწ. ვ. ხომერიკი, ტ. მურვანიძე), მცხეთის
 რ-ნის მუხრანის 1-ლი (დირექ. მ. ავანაშვილი, მასწ. მ. ბუთხუზი),
 გალავნის (დირექტორი ო. მჭედლიშვილი, მასწ. 6. მჭედლიშვი-
 ლი), ცაგერის რაიონის ჩხუტელის (დირექტორი ვ. ქარსელაძე,
 მასწ. 6. კაპანაძე), სიღნაღის რაიონის ბოდბის (დირექტორი ვ.
 ხუციშვილი, მასწ. 6. ყადაშვილი), წითელწყაროს (დირექტორი
 შ. მოლაშვილი, მასწ. თ. ლამაზოშვილი, მ. ჭილიტაშვილი), მეს-
 ტიის რაიონის ეცერის (დირექტორი ზ. ფარჯველიანი, მასწ.
 ს. გერლიანი), ლენჯერის (დირექტორი ა. მარგარი, მასწ. კ. ფილ-
 ფანი), ჩოხატაურის 1-ლი (დირექტორი ე. კუპავა, მასწ. 6. შარა-
 შენიძე), თეთრიწყაროს (დირექტორი გ. სეგასტოვა, მასწ. ი. ტა-
 ბაღუა) საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა, რომლებსაც
 „4“ ან „5“ შეფასება პქონდათ იმ საინგებში, რომლებშიც უმაღლეს
 სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაქმაყოფილებელი
 შეფასება მიიღეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებ-
 მა, სამარტო თსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათ-
 ლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) განათლების სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო
 განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება
 და სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში დასახელებულ
 სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს;

ბ) 1971 წლის 1 თებერვალიდე წარმოუდგინონ საქართველოს
 სსრ განათლების სამინისტროს ანგარიში მათ მიერ გატარებული
 ღონისძიების შესახებ;

გ) დასახელებულ სკოლებში საფუძვლიანად შეისწავლონ სწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დასახონ ქმედითი ლონისმიერ ბანი მოსწავლეთა მომზადების დონის არსებითა და გაუმჯობესებულ ბისათვის;

დ) გაათავისუფლონ სათანადო წესის დაცვით ან გადაიყვანონ უფრო დაბალ სამუშაოზე ის მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები, ომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას.

2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რეპსუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დაისახოს ქმედითი ლონისძიებაზე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკეთრად გაუმჯობესებისათვის.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამშართველომ (ამხ. ა. ჩხილვაძე):

ა) საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მიავლინოს ბრძანებაში აღნიშნულ რაიონებში სასკოლო ინსპექტორები გამოცდების მიმღინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დასაწესებლიდ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1970 წლის 16 დეკემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР № 746 ОТ 29 ДЕКАБРЯ 1970 Г.

Об учебно-воспитательной работе в подготовительных классах школ республики

Ознакомившись с итогами работы подготовительных классов, отмечаю, что организация обучения 6-летних детей в подготовительных классах оправдывает себя. Учащиеся этих классов справляются с учебным материалом, предусмотренным программой, в частности, дети овладели навыками чтения и письма, математическими действиями в пределах 20, учащиеся проявляют интерес к учебе, хорошо привыкают к школьной среде, к коллективу класса, у них выработаны навыки личной гигиены. Переходящие из подготовительных в первые классы в такой же степени владеют учебным материалом и правилами поведения учащихся, в какой и второклассники обычных школ, а по некоторым вопросам программ по родному языку и математике превосходят их. Значительная часть педагогов правильно предусматривает особенности работы в подготовительных классах и добивается хороших успехов. Работники органов просвещения, учителя и общественность проявляют положительное отношение к открытию подготовительных классов в школах и требуют вовлечения в учебу всех шестилеток.

Вместе с тем в работе подготовительных классов имеются определенные недостатки. Некоторые учителя, не уделяя достаточного внимания психологическим особенностям шестилеток, преподавание строят по методике работы с семилетними, кроме того, часть педагогов мало пользуется наглядностью, дидактическими играми; все еще чувствуется недостаточность методической литературы, сравнительно мало публикуются в педаго-

гических газетах и журналах статьи об опыте педагогов подготовительных классов.

Имеются недостатки в организации постоянного медицинского наблюдения над учащимися.

С целью улучшения учебно-воспитательной работы в подготовительных классах,

Приказываю

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов:

а) принять срочные меры для искоренения недостатков, все еще имеющихся в работе подготовительных классов;

б) еще шире развернуть методическую работу среди педагогов, улучшить деятельность методкабинетов, методкомиссий и методобъединений, чаще устраивать открытые уроки, широко пропагандировать опыт передовых учителей;

в) особое внимание уделить правильной организации уроков, чередование обучения и отдыха учащихся; добиться регулярного медицинского наблюдения над шестилетними;

г) усилить контроль над режимом учебного дня подготовительных классов, не допускать нарушения продолжительности уроков, принимать и вгредь меры для выделения отдельных отсеков для этих классов;

д) заботиться о создании и применении наглядных пособий, принимать меры для своевременной доставки школам выпускемых Министерством просвещения дидактических материалов, особое внимание уделить пополнению учащимися лексического запаса, добиться ликвидации пробелов у учащихся в языковой подготовке.

2. Директорам школ:

а) особое внимание уделить работе педагогов над правильным произношением, письменным упражнениям как на доске, так и в тетрадях каллиграфии и соблюдению учащимися правилличной гигиены;

б) обеспечить постановку на должный уровень преподавания музыки, изобразительного искусства, физической культуры

и труда, установить постоянное наблюдение над умственным, физическим и эстетическим развитием учащихся подготовительных классов, над развитием навыков наблюдения, мобилизации внимания и активности на уроках.

3. Институту усовершенствования учителей (тов. Захариши Т.):

продолжить работу по поднятию квалификации учителей подготовительных классов по разработанным планам и программам. В ходе работы согласовывать эти планы и программы с научно-исследовательским институтом педагогики; для переподготовки учителей привлекать научных работников институтов педагогики, психологии, высших педагогических учебных заведений, опытных учителей и методистов.

4. Научно-исследовательскому институту педагогики (тов. Попхадзе Г.):

а) продолжить в дальнейшем работу по подготовке к изданию основной методической литературы по вопросам учебно-воспитательной работы в подготовительных классах;

б) совместно с институтом усовершенствования учителей до конца января 1971 года разработать и представить для утверждения мероприятия по подготовке лекторов на местах из числа опытных учителей и методистов;

в) разработать и представить на рассмотрение наглядно-дидактические материалы для подготовительных классов, дидактические игры для уроков. Совместно с Управлением школ обеспечить создание, апробацию и массовое производство этих материалов;

г) на будущих республиканских научно-педагогических конференциях отдельно выделить секцию педагогов подготовительных классов, разработать и разослать на места ориентировочную тематику докладов;

д) лаборатории экспериментальной дидактики и технических средств совместно с Управлением школ разработать серию диафильмов и диапозитивов по эстетическому и нравственному воспитанию, по развитию речи и обучению математике.

5. Методическому кабинету физического воспитания и спорта (тов. Мерквиладзе Г.) подготовить тематические мето-

дические разработки по физическому воспитанию учащихся подгото-
вительных классов.

6. Разрешить школам в подготовительных и начальных
классах пользоваться шариковыми авторучками.

7. Управлению снабжения и подсобных предприятий (тov.
Арвеладзе С.) принять меры к обеспечению учащихся шари-
ковыми авторучками и другими необходимыми для учебы ма-
териалами.

8. Газете „Сахалхо Ганатлеба“, журналу „Скола да
Цховреба“ (тov. тов. Швелидзе Н., Саджая Гр.) еще шире ос-
вещать вопросы обучения и воспитания в подготовительных
классах, отображать опыт, накопленный в этой отрасли учите-
лями экспериментальных и подготовительных классов.

9. Просить Комитет радио и телевидения Совета Министров
Грузинской ССР совместно с лабораторией эксперименталь-
ной дидактики научно-исследовательского института педагогики
систематически передавать через радио и телевидение откры-
тые уроки опытных педагогов подготовительных классов, лекции
и доклады, связанные с методикой преподавания в начальных и,
в частности, подготовительных классах.

10. Просить Комитет печати Совета Министров Грузин-
ской ССР издать подготовительный сборник методических ма-
териалов для учителей подготовленный классов.

11. Просить Министерство здравоохранения республики
усилить медицинское наблюдение над учащимися подготовитель-
ных классов как в городах, так и на селе.

12. Управлению школ (тov. Чхиквадзе А.) разослать доклад-
ную записку об итогах проверки работы подготовительных
классов во все районные отделы народного образования и
следить за выполнением данного приказа.

Основание: Постановление Коллегии Министерства про-
свещения Грузинской ССР от 16 декабря
1970 г.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. Лашкарашвили

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ.
31 დეკემბრის ბრძანება № 770

ლანჩხუთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და
სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

სკოლების სამიართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი
ბარათიდან ირკვევა, რომ ლანჩხუთის რაიონის სკოლების ხელ-
მძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობაში გამოვლინებულია
სერიოზული ნაკლოვანებები,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ლანჩხუთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ
(გამგე ვ. ჩიკაშვილი):

ა) გაატაროს ქმედითი ორნისძიებანი მოხსენებით ბარათში
აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფეხრელად და არსებითად გაა-
უმჯობესოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუ-
შაობა სკპ ცკ-ის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილე-
ბათა შუქშე.

ბ) აღნიშნული მოხსენებითი ბარათი განხილული იქნას რაი-
ონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაშე და დაისახოს
კონკრეტული ღონისძიებანი, რომ მოსწავლეებს ეძლეოდეთ მეც-
ნიერებათა საფუძვლების მქონე და საფუძვლიანი ცოდნა;

გ) მიიღოს სათანადო ორნისძიებანი სკოლებში სასწავლო კა-
ბინეტებისა და სახელოსნოების საჭირო დგამ-ავეჯით, იარაღ-ხელ-
საწყოებითა და რეაქტივებით შესავასებად, იმ თვალსაზრისით, რომ
უზრუნველყოფილი იქნას პროგრამებით გათვალისწინებული ცდე-
ბის, დაკვირვებებისა და ლაბორატორიული სამუშაოების სრულყო-
ფილად ჩატარება;

დ) უზრუნველყოს ყველა სკოლა სათანადო ფართობის მიწის
ნაკვეთებით. მიაღწიოს იმას, რომ სასკოლო მიწის ნაკვეთები

შეიცავდეს საბოსტნე და მინდვრის კულტურებს, დეკორატიულ მხედ-
ნარეებსა და ადაილობრივ გავრცელებულ კულტურებს, ნაკვეთზე
წარმოდგენილი იქნას ზოოლოგიური განყოფილებები. სჭავალების
დეს საცდელი მუშაობა ახალი ჯიშების გამოყვანაზე, რომ სახეო-
ლო ნაკვეთი ნამდვილად წარმოადგენდეს ლაბორატორიას ღია ცის
ქვეშ; არსებითად გააუმჯობესოს ნორჩ ნატურალისტთა წრეების
მუშაობა;

ე) გადაჭრით გააუმჯობესოს დაწყებითი კლასების მასწავ-
ლებლების მუშაობა, მიღწეული იქნას, რომ დაწყებითი კლასების
ყველა მოსწავლე ასწრებდეს;

ვ) სასწავლო წლის მე-4 მეოთხედში საფუძვლიანად შეისწავე
ლოს მოხსენებით ბარათში დასახელებული სუსტად მომუშავ-
სკოლის დირექტორების, დირექტორის მოადგილეების სასწავლო
მუშაობის დარგში და მასწავლებლების მუშაობა და მათ მიმართ,
რომლებიც არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას გაატაროს
საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

ზ) სასწავლო წლის ბოლოს გადახედოს რაიონის სკოლების
დირექტორების და მისი მოადგილეების თანამდებობაზე მომუშავე
მუშაკთა კადრებს. ასევე მოახდინოს განათლების განყოფილებისა
და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკების გადახედვა, იმ თვალსაზ-
რისით, რომ განყოფილებაში ისსპექტორის ან პედაგოგიურ კაბი-
ნეტში მეთოდისტის თანამდებობაზე სამუშაოდ აყვანილი იქნას
ქამია-ბითოლოგიის სპეციალისტი;

თ) საგანგებო ღონისძიებანი გაატაროს ლანჩხუთის მე-3 სა-
შუალო სკოლაში მათემატიკის სწავლების გასაუმჯობესებლად;

ი) ცალკე განიხილოს ნიგოითის საშუალო სკოლის ორგანი-
ზატორიის ბ. ჩხეიძის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და
მიიღოს საჭირო ზომები მათ გამოსასწორებლად;

კ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს განათ-
ლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათი გატარებული ღონის-
ძიებებისა და მათი შედევების შესახებ.

2. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვა-
ნელობისათვის ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორს
გ. ჩხეიძეს, ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს ი. მა-
ქანაძეს, ნიგოითის საშუალო სკოლის დირექტორ გ. ჩხეიძეს და
ნიგოითის 8-წლიანი სკოლის დირექტორ შ. მარუაშვილს გამოე-
ცხადოთ საყვედური.

3. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისათვის ნიგოითის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელის ც. ჯიბლაძეს, მათემატიკის მასწავლებლებს ნ. ვადაჭკორიას (ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა); ც. იმნაიშვილს, ვ. ხუხაშვილს (ნიგოითის საშ. სკოლა), ვ. ძავანიას (ჩოჩხათის საშ. სკოლა), ც. ნიშნავანიძეს და ლ. ჯიბლაძეს (ნიგოითის 18-წლიანი სკოლა), თ. კორძაძეს (შუხუთის საშ. სკოლა), ნიგოითის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ი. თავდიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

4. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ჩოჩხათის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ლ. ებრალიძეს, მათემატიკის მასწავლებლებს ლ. აფხაზგას (ნიგვზიანის საშ. სკოლა), ც. ჩუქულაძეს (შუხუთის საშ. სკოლა), ფიზიკის მასწავლებელს თ. ასურავას (ლანჩხუთის 1-ლი საშ. სკოლა), ქიმიის მასწავლებელს რ. კვასხვაძეს (ლანჩხუთის მე-3 საშ. სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლებს ქ. ოჩაგველიძეს (შუხუთის საშ. სკოლა), ა. ნიკოლაიშვილს (ნიგოითის საშ. სკოლა), ისტორიის მასწავლებლებს დ. სოსელიას (ლანჩხუთის 1-ლი საშ. სკოლა), ღ. გოგუაძეს შუხუთის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

5. მიღებული იქნას ცნობად, რომ ნიგოითის საშ. სკოლის დირექტორის მოაღვილე ა. ნიკოლაიშვილი გადის მოხუცებულობის პენსიაზე.

6. ჩოჩხათის საშუალო სკოლის მასწავლებელ ფ. ხუხუნეიშვილს ახალი სასწავლო წლიდან ჩამოერთვას გერმანული ენის გაძვეთილები, როგორც არასპეციალისტს.

7. სკოლების სამართველომ (აკ. ჩხიგვაძე) თვალყური იღევნოს ამ გრძელების შესრულების მიმღინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. 3. ლაშჩარაზვილს

ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი
მუშაობის მდგრადირეობის შემოწმების შედეგების შესახებ

მოხსენითი გარატი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პრიგადამ შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ე. ჭურციყიძეს, ს. ამზოევის, თ. ხელქაძის, ა. აბაშიძის, გ. გორგობიანის, გ. ჯავახიძის და თ. ხურცილავის შემადგენლობით 1970 წლის 28 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე შეისწავლა ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილება დაკომპლექტებულია სათანადო ცენტრისა და გამოცდილების მქონე მუშაობით: განყოფილების გამგე ვ. ჩიქაშვილი—ისტორიის, ინსპექტორები: რ. გოგუაძე—ფიზიკა-მეთემატიკის, ნ. გალოგრე—რუსული ენისა და ლიტერატურის, პედაგოგიური კაბინეტის გამგე თ. ვადაჭერია—ისტორიის, მეთოდისტები მ. კვერენჩილაძე—ქართული ენისა და ლიტერატურის, ნ. წილოსანი—დაწყებითი განათლების სპეციალისტები არიან. აღსანიშნავია, რომ განათლების განყ-ში არ ჰყავთ ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტი მაშინ, როდესაც განყოფილების გამგე და პედაგოგიური კაბინეტის გამგე ისტორიის სპეციალისტები არიან. ასევე, არასწორად არიან შერჩეული ზოგიერთი სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში. მაგალითად, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობენ ახალსოფლისა და გულიანის რვაწლიან სკოლებში ისტორიისტები. ლანჩხუთის მე-3 და წყალწმინდის საშუალო სკოლებსა და ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატში ისტორია-გეოგრაფიის სპეციალისტები. აგრეთვის საშუალო და ხაჯალიის რვაწლიან სკო-

ლეგში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეო.

გრაფიის სპეციალისტები.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში სახალხო განათლების განყოფილების მექანიზმის მიერ აღილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით საგრძნობი მუშაობაა გაწეული სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ლანჩხუთის მე-3, ნიგოითის, ჩოჩხათის, ჯურულეთის, საშუალო, გვიმბალურის, ახალი სოფლის რვაწლიანი, არჩეულის და ორაკვის დაწყებითი სკოლების შენობები. შენდება ლანჩხუთის მე-2 საშუალო, გულიანის და ნინოშვილის რვაწლიანი სკოლები. 1970 წელს შეძენილია 28.500 მანეთის საკოლო ინვენტარი, მათ შორის სასკოლო კაბინეტებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღები 7 500 მანეთის, ბიბლიოთეკებისათვეს შეძენილია წიგნები 5.500 მანეთის. სახალხო განათლების გაწყოფილება მუშაობს კვარტალური გეგმების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობისათვის ღირსეულად შეკვედრის მიმართულებით სკოლებში გაწეული მუშაობის შესწავლა. ახალი პროგრამებით სწავლების მდგომარეობის შემოწმება, სკდ ცე-ის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე მოცავების გადაწყვეტისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესწავლა და სხვ.

მიმდინარე სასწავლო წელს განათლების განყოფილებას შესწავლილი აქვს 5 საშუალო, 4 რვაწლიანი და 10 დაწყებითი სკოლის მუშაობა, სახალხო განათლების განყოფილება პერიოდულად ახდენს სკოლებისათვის მოცემული მითითებების შესრულების შემოწმებას.

ცალკეული სკოლების აღგილზე შემოწმების შედეგად ირკვევა შემდეგი:

ქ. ლანჩხუთის პირველ, მესამე, სოფ. შუქუთის, ნიგოითისა და ჩოჩხათის საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ძირითადად დამაკმაყოფილებულია მიმდინარეობს. სკოლები დაკომპლექტებულია მცოდნე და გამოცდილი პედაგოგებით.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მასწავლებლების: მ. მოისწრაფიშვილის (ლანჩხუთის 1-ლი საშ. სკოლა), ლ. ებრალიძის (ლან-

ჩხუთის შე-3 საშ. სკოლა), ლ. მდივნის (ნიგოითის საშ. სკოლა) მუშაობა. ისინი ატარებენ ორგანიზებულ, დაწვერილ გაცვეჭილურებს, იყენებენ აქტუალურ მეტოდებსა და ხელშებს. მათი მოსწავლეები ამჟღვნებენ პასალას კარგ ცოდნას, ვაჭვებილებებს აქტიურობენ, მეტყველებენ და წერენ სხარტაზ, დაშავერებლად.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ნ. აფხაზება (ლანჩხუთის პირველი საშ. სკოლა), ქ. ებრალიძე (ლანჩხუთის მე-3 საშ. სკოლა), შ. ცხალაძე (ჩოჩხათის საშ. სკოლა). მათს მეშვიბაში შეიმჩნევა ზოგიერთი ნაკლი, რომელთა გამოსწორება არცთუ ძნელია.

აღნიშნული მასწავლებლები იცავენ წერის ნირშებს და გრაფიკს. თბილულებებს ასწორებენ და აფასებენ კეთილსინდისერიად.

დაბალ დონეზე დგას სოფ. ნიგოითის საშუალო სკოლის მასწ. ც. ჯიბლაძეს მუშაობა. მას აკლია თეორიული და მეთოდური მომზადება, უყურადღებოდ ეკიდება მოსწავლეთა პასუხებს, ხშარად შეუნიტნავი რჩება მათ მიერ მეტყველებაში დაშვებული შეცდომები და სხვა.

მასწავლებელი ვერ აძლევს მოსწავლებს უცნობი სიტყვების სრულ განმარტებას, თვითონაც მეტყველებს ცუდად. გაცვეთილის ახსნის მაგივრად ტექსტის მონოგრაფია კითხვით კმაყოფილდება.

ბასწ. ც. ჯიბლაძე უყურადღებოდ ასწორებს წერის ნამუშევრებს, შეუნიტნავი რჩება მრავალი შეცდომა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი გ. რუხაძე. მან სწორად წარმართა გაქვეთილი მე-8 კლასში. მოსწავლეებმა გამოამეობანებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა. ასევე დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამეღავნებენ VII კლასის (მასწ. მ. ქარჩავა) მოსწავლეები. კარგად ასწავლის რცსულ ენას დაწყებითი კლასების მასწავლებელი ლ. კვასხვაძე. იგი მოხდენილად იყენებს გაქვეზილებზე დიდი ქრისტიანურ მასალას და თვალსაჩინოებას. აღნიშნული მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ლექსიკურ მუშაობაზე. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები გ. რუხაძე და მ. ქარჩავა გულდასმით არ ასწორებენ სკლასო საშინაო წერის რეენულებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ნიგოითის (მასწავლებლები ნ. ფირცხალეიშვილი და ს. კალანდარიშვილი), შუბუთის (მასწავლებლები ე. წილოსანი და კ. ხუხუნაიშვილი) საშუალო სკოლებში.

კარგად მუშაობს ლანჩხუთის რუსული რვაწლიანი სკოლი
1. ლი კლასის მასწავლებელი ტ. ტარასოვა. მიუხედავად იმისაც არამარტი
კლასში სხვადასხვა ეროვნების ბავშვებია, რომელთაგან სკოლაში
შემოსვლისას ზოგმა არც კი იცოდა რუსული ენა, რაც, ბუნებრი-
ვია, აძნელებს მუშაობას, მასწავლებელი კარგ შედევებს აღწევს,
მოსწავლეების ზეპირი და წერითი მეტველება დამაკმაყოფილებე-
ლია, მასწავლებელი ბეჯითად მუშაობს მოსწავლეთა კალიგრაფიის
გაუმჯობესებაზე. დამაკმაყოფილებლად მეშობენ მასწავლებლები
ლ. გუდავაძე, ე. ბელაკვეა და გ. რეხაძე. მაგრამ მათ მუშაობაში
არის ნაკლიც. ისინი შეცდომების გასწორებას ახდენენ მექანიკური
წესით, რაც უშედევთა. საჭიროა შეცდომების გასწორება ტარდე-
ბოდეს ანალიტური მეთოდით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჩოჩხათის საშუალო სკო-
ლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ებრალი-
ძე, იგი მეტველებაში უშვებს შეცდომებს, მოსწავლეთა მიერ დაშ-
ვებულ შეცდომებს არ ასწორებს, ვერ ახდენს გაკვეთილის სწორად
წარმართვას, არ იცავს გაკვეთილის მომენტებს, არ ატარებს ლექ-
სიკურ მუშაობას, უყურადღებოდ ასწორებს საკონტროლო წერით
ნამუშევრებს, სრულიად არ ასწორებს საკლასო საშინაო წერის
რვეულებს, დაბალია მოსწავლეთა მომხადების დონე.

შესწავლილ სკოლებში ფორმალურ ხსიათს ატარებს მეთო-
დური მუშაობა, მეთოდგაერთოთანებებზე წაკითხული მოხსენებები
ზოგადია და არ გამოხატავენ მასწავლებელთა მუშაობის პრაქტი-
კულ გამოცდილებას. ასევე, ფორმალურ ხსიათს ატარებს წრეების
მუშაობაც.

დამაკმაყოფილებლად ფლობს ინგლისურ ენის ნიგვზიანის
საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. გოცირიძე, მაგრამ იგი გაკვე-
თილის პროცესში არ იყენებს სწავლების სწორ მეთოდებს, თვალ-
საჩინოებას, არ ასწორებს საკლასო-საშინაო დაერების რვეულებს,
რის გამო დაბალია მოსწავლეთა მომხადების დონე. IX კლასის
მოსწავლეებმა კითხვაც კი არ იციან. მასწავლებელი დ. გოცირიძე
არ იცნობს და არ იცავს საკონტროლო წერის სახეებს.

ნიგოითის საშუალო სკოლის მასწავლებლები მ. ჭყანია და
რ. ღლონტი ინგლისურ ენას კარგად ფლობენ და მონაცომებით მუ-
შაობენ. ისინი გაკვეთილებს უცხოურ ენაზე ატარებენ. ჯენებები
თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს, მოსწავლეთა ჭრიმშე-
დების დონე დამაკმაყოფილებელია, მათ ესმით მასწავლებლების

საუბარი და ცოცხლად პასუხობენ დასმულ კითხვებზე. მასწავლებელები იცავენ საკონტროლო წერის სახეებს და ნორმებს დასმით ასწორებენ მას.

მასწავლებელ რ. ლლონტს სკოლაში ჩამოყალიბებული აქვს უცხოური ენის კლუბი და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსწავლეებთან.

სოფელ ჩოჩხათის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის ისტორიკოსი ფ. ხუხუნაიშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს მოსკოვის დაუსწრებელი ინსტიტუტი. ფ. ხუხუნაიშვილი ენას სუსტად ფლობს, მან კითხვის წესებიც კი არ იცის, მეტყველების დროს უშებებს უხეშ შეცდომებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას. დაბალია მოკარგულება კითხვისა და წერის კულტურა, ისინი მარტივ კითხვებზედაც ვერ პასუხობენ, მასწავლებელი არ ასწორებს საქლასო-საშინაო დაცვლების რეეციულებს, ხოლო საკონტროლო წერის რეეციულებში მრავალი შეცდომაა გაპარული.

მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაშილი დაუფლებულია საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. მთელი ენერგიითა და მონადომებით მუშაობის შედეგად მოსწავლეთა მომზადების დრო კარგია. ასე, მაგალითად: ნიგვზიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. აფხაზავა გაკვეთილების ჩატარების დროს არ იმყოფება სახელმწიფონებლოს ტყვეობაში. მოსწავლეებს აძლევს ორმა და შეგნებულ ცოდნას. გაკვეთილის მსვლელობის პროცესში მონაშილეობს მთელი კლასი. მოვიქრებული კითხვების დაყენებით მოსწავლეები თვითონ იღვნენ სიღიღეთა შორის დამოკიდებულებას.

X კლასს გაკვეთილად მიცემული ჰქონდა ძირითადი თეორებები ლოგარითმებზე, რომელიც მოსწავლეებს კარგად ჰქონდათ მომზადებული. მასწავლებელმა კლასს მისრა ძაგლი ითები: გამოვითვალოთ $\log_2 (-^9) \log_3 (-^{27}) \cdot \log_{10} (-^{10})^2$, რის შემდეგ მოსწავლეებმა თვითონ გააკეთეს დასკვნა, რომ შესწავლილი თეორებები სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლოგარითმის რეზულტატი და კომპიუტერის ლოგარითმები არსებობს. აღნიშნული საკითხის განებულად შესწავლას ემსახურებოდა აგრეთვე მაგალითიც $\lg_a x^2 = \lg_a^{16}$. ამოხსნის შემდეგ მოსალოდნელი ორი პასუხის $x = \pm 4$ ნაცვლად მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორი დასკვნა გააქვთა $2\lg_a x = 2\lg a^4$ ე. ი. $x = 4$. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად შეფასება „5“ და „4“ დაიმსახურა 7 მოსწავლემ. „3“ თხუთმეტმა, ხოლო „2“ ხუთმა მოსწავლემ.

დამაქმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე ლანჩხუთის მე-3-სა-
შუალო სკოლის მე-3 კლასის მასწავლებელი ნ. სალუქეძე. უკანაცხადი
ასევე დამაქმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავ-
ლებლები ა. ხომერიკი, გ. ხუცუნაიშვილი (შუბუთის საშუალო
სკოლა), გ. დათიაშვილი ლანჩხუთის მე-2 საშ. სკოლა). მასწავ-
ლებელმა ხომერიკმა (შუბუთის საშუალო სკოლა), კარგად ჩაატარა
V კლასში არითმეტიკის გაკვეთილი, მან მოკლე დროში, მაგრამ სა-
ფუძვლიანად შეამოწმა საშინაო დავალება, მოსწავლეებს მისტა-
საჭირო მითითებანა, რამოდენიმე მოსწავლეს მოაყოლა გაკვეთი-
ლი, დაუსვა განვლილი მასალიდან კითხვები და მოახდინა მათი
ობიექტური შეფასება, შემდეგ კლასი ავარჯიშა ამოცანების ამო-
ხსნაზე (მართეუთხა პარალელებიპერების მოცულობის გამოანგარი-
შება). მასწავლებელი კარგად იყენებს ამოცანების ამოხსნის მეთო-
დებს, მან საფუძვლიანად მოახდინა ამოცანის ანალიზი და სინთე-
ზი, მასალა მოსწავლეთა მიერ შეგნებულად იქნა გაგებული, კლასმა
კარგად იცის გავლილი მასალა.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკ-
ლებად მუშაობს თავისთავზე, არ არის დაუფლებული საგნის სწავ-
ლების მეთოდებს, არ ზრუნავს მოსწავლეთა აზროვნების განვითა-
რებაზე, ვერ ახერხებს მოსწავლეთა უმრავლეობის ჩაბმას გაკვე-
თილის პროცესში, არ მოითხოვს მოსწავლეებისაგან შევნებულ ცოლ-
ნის, გაკვეთილზე სათანადო ყურადღებას არ უთმობს ზეპირ სავარ-
ჯიშოებს, არ ნერგავს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის
ჩვევებს, გაკვეთილზე არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუა-
ლურ თავისებურებას, არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო დავალე-
ბის რვეულებს, ლიბერალურად იფასებს საკონტროლო წერით ნა-
შრომებს. გაკვეთილზე უგზულებელყოფილია ტექნიკურ საშუალებათა
გამოყენება, რის შედეგად მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.
ასე, მაგალითად: ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლე-
ბელმა ვადაპკორიამ V კლასში ახსნა წილადების ვამოკლება, რის-
თვისაც გამოიყენა ნახაზი (რომელიც სახელმძღვანელოშია მოცე-
მული). ერთნაირმნიშვნელიანი წილადების ვამოკლებისას საკითხი
აღვილად გადაწყდა, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელიანი წილადების
გამოკლების დროს შეაღვინა კვლავ ნახაზი და ამბობს $\frac{1}{2}$ -ს ვერ
გამოვაძლებთ $\frac{1}{3}$ -ს. მასწავლებელი „ასწავლის“ წილადების ვამო-
კლების წესს, რომელსაც ამეორებინებს მოსწავლეებს. რატომ არ

შეიძლება გამოკლება? რატომ - არის აუცილებელი გაერთიანებული
ლიანება, ან რას ნიშნავს იგი. ამ საკითხს მასწავლებელი უურდება
ლებას არ აქცევს; არც ახლა და საერთოდ, წილადების შესწავლის
დროსაც არაფერი თქმულა ამის შესახებ, ამიტომ არის, რომ მო-

სწავლები ვერ პოულობენ წრის $\frac{1}{6}$ ნაწილს, 30 გვერდიანი წიგნის

$\frac{1}{2}$ ს და ა. შ. არ იციან რომელი მეტია $\frac{9}{10}$ თუ $\frac{4}{5}$ და რატომ?

წილადის ძირითადი თვისების არსი.

ანალოგიურიდ მუშაობს ნიგვზიანის საშუალო სკოლის მას-
წავლებელი ლ. აფხაზავა, მან VIII კლასში მასალა (კვადრატული
განტოლების ფესვის გამოთვლა, როდესაც უცნობის კოეფიციენტი
ლუწია) ახსნა თხრობის მეთოდით და დასკვნა „როდის რომელი
ფორმულა გამოვიყენოთ ამას შემდეგში ვისწავლით“. კლასის მო-
მზადების დონე დაბალია, არ იციან კვადრატული ფესვის მნიშვნე-
ლობა

$$\sqrt{(1-x)^2} = 1-x; \quad \sqrt{\left(\frac{1}{2}-1\right)^2} = \frac{1}{2}-1.$$

რაცხვის აბსოლუტური მნიშვნელობის აზრი; $ax^2+c=0$ გან-
ტოლებას როდის აქვს ამონასნი და მთელი რიგი ელემენტის რული
საკითხები.

მან V კლასში ჩაატარა გეგმით გათვალისწინებული საკონტ-
როლო წერა. წერის შედეგად სამზე დაბალი შეფასება ნახევარზე
მეტმა მოსწავლემ მიიღო (მათგან ხუთმა იმ მოსწავლემ, რომელსაც
მაღალი ნიშანი ჰქონდა). I მეოთხედის ბოლოს „4“ და „5“ არც-
ერთ მოსწავლეს არ დაუმსახურებია.

ნიგოითის საშუალო სკოლის მასწავლებელი ც. იმნაიშვილი
არ არის დაუფლებული საგანს. ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ
დაშვებულ შეცდომებს, ასე, მაგალითად, X კლასს დავალებად მი-
ცემული ჰქონდა მაჩვენებლიანი ფუნქციის ძირითადი თვისებები. მ
მოსწავლე წერს $a^{-x} < 0$ თუ $a > 0$ განვიხილოთ შემთხვევა, როც
 $a < 0$ მასწავლებელი ასეთ უხერ შეცდომებს და მისგან გამომდი-
ნარე შედეგებს ვერ ხედება. თვითონ მასწავლებელი ხსნის მაჩვებ-
ლიანი ფუნქციის შემდეგ თვისებას (როცა $a > 1$; $y = a^x$ მონოტო-
ნური ზრდადია, ხოლო როცა $a < 1$, $y = a^x$ მონოტონურიდ
კლებადია) $a^{x_2} - a^{x_1} = a^{x_1}(a^{p-1})$ და ეს გარდაქმნა რომ სწორია
ამოწმებს გამრავლებით ($x_2 = x_1 + p$) პარალელურიდ ახსნისა (და
არც გამოკითხვის) დროს არ იქნა გამოყენებული მაჩვენებლიანი

ფუნქციის გრაფიქი. ასეთი სწავლების შედეგია ის, რომ ამ კლასში
ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 20 მოსწავლიდან ნამუშევარი
ლოდ ორი მოსწავლის წერილი ნამუშევარი შეფასდა ნიშან „3“-ზე,
დანარჩენი კი „2“-ზე.

ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის VIII—X კლასებს ასწავ
ლის შემცვლელი მასწავლებელი ნ. დ. ჩავლეიშვილი, რომელმაც
არ იცის საპროგრამო მასალა. მოსწავლის მიერ დაშვებულ შე-
• დომებს $[\cos(\alpha + \beta)] = \cos\alpha \cos\beta \sin\alpha \sin\beta \sin x = \frac{1}{2}$; $x = 30^\circ +$
 $\pm 360^\circ \cdot n$ დ, სხვა ანალოგიურ შეცდომებს მასწავლებელი ვერ
ხვდება.

VIII კლასში მიცემული გაცვეთილი იყო წრეწირის გარე
წერტილიდან გაცვებული მხებისა და მქეთის თვისება. მოსწავ-
ლები პასუხობენ „კუთხები იზომება ერთიდაიგივე ხაზებით: სამ-
კუთხედები ტოლია (ნაცვლად მსგავსია და ა. შ.) არასწორად ით-
ქვა თეორემა, შეცდომით დაიწერა გეორგების პროპორციულობა
და მთელ რიგ უხეშ შეცდომებს მასწავლებელი ვერ ამჩნევს. ცხა-
დია, ასეთი მასწავლებლის მოსწავლეთა მომზადება ძალზე დაბა-
ლია ჩვენს მიერ X კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შე-
დეგიდ ყველა მოსწავლის წერითი ნამუშევარი „2“-ზე და „1“-ზე
შეფასდა.

ლანჩხუთის პირველ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ვ.
იმნაძე) 40 მოსწავლის წერითი ნამუშევრიდან ორზე შეფასდა 23
მოსწავლის წერითი ნამუშევარი, ჩოჩხათის საშუალო სკოლაში
(მასწავლებელი ვ. ძაგანია) 41-დან 23-მა, შუხუთის საშუალო სკო-
ლაში (მასწავლებელი ვ. კუჭულაძე) 41-დან—15 მოსწავლის წერითი
ნამუშევარი შეფასდა ნიშან „2“-ზე. იმით უნდა აიხსნას ის ფაქტი,
რომ ამ სკოლების მოსწავლები უმაღლეს სასწავლებლებში მისა-
ლები გამოცემის დროს დაბალ მომზადებას ამჟღავნებენ.

საგნის დაბალ ცოდნის ამჟღავნებენ მათემატიკის მასწავლებ-
ლები ც. ნიშნიანძე და ლ. ჯიბლაძე (ნიგოითის რეაქტორის სკო-
ლა), თ. კორქაძე (შუხუთის, საშუალო სკოლა). მასწავლებელი თ.
კორქაძე VII კლასში ზერელედ ამოწმებს მიცემულ საშინაო დავა-
ლებას, ერთი მოსწავლის საშინაო დავალების რეეულში ასეთი
ჩანაწერი იყო: „რამდენ კვადრატულ მეტრს შეიცავს ერთი ჰექტარი,
თუ მას აქვს კვადრატის ფორმა, რომელიც უდრის 100 მ.

3 0 ს უ ხ ი: „ქვადრატის ფართობი უდრის 40 მ“. მას-წავლებელმა „შეამოწმა“ აღნიშნული „ნამუშევარი“, მაგრამ მოს-წავლეს არავითარი მითითება არ მისცა, გაკვეთილის პროცესში მასწავლებელი ზეღმეტად ერეოდა ბავშვების საუბარში და არც-ერთ ბავშვს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაწყო და დაემთავ-რებინა აზრი.

ახალი მასალის — რეცხვების კვადრატების ცენტოს ხმარების ახსნისას მასწავლებელმა შეცდომით გამოთქვა და დაწერა დაფაზე „ $S = 3\theta^2 = 9\theta^2$ “ ეს ჩანაწერი ბავშვებმა რვეულებში გადაიტანეს.

არადამაკაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის
 სწავლება ნიგოითის რეაწლიან სკოლაში. ცუდად ჩაატარა VII
 კლასში ალგებრის გაკვეთილი მასწავლებელმა ც. ნიშნიანიძემ, მან
 ფორმალურად შეამოწმა საშინაო დავალების რვეულები, არ უცდია
 გამოერქვა, რამდენად დამოუკიდებლად პერნდა მოსწავლეებს
 შესრულებული დავალება და არ მიუცია მათთვის არავითარი მა-
 თითება, მიუხედავიად იმისა, რომ ზოგ მათგანს დავალება ცუდად
 პერნდა შესრულებული. მასწავლებელმა არ იცის მოწავლეთა და-
 მოუკიდებელი მუშაობის ფორმები; ერთი მოსწავლე გამოჰყავს და-
 ფასთან და აძლევს მრავალწევრს $x^4 + x^3 + x - 1$ დასაშლელად, მოს-
 წავლებს კი ავალებს დამოუკიდებლად გამოიყანონ მაგალითი,
 რომელიც მოსწავლეს მასწავლებლის დახმარებით დაფაზე გამო-
 ჰყავს. ზემოთ მოყვანილი მარტივი მაგალითის გადაწყვეტას მას-
 წავლებელმა დიდი დრო მოანდომა, ერთიდაიგივე მარტივი კითხ-
 ვები ბევრჯერ გაიმეორა და შეცდომები დაუშვია, მაგალითად: იგი
 წერს და ლაპარაკობს: „ $x^2 + 6x + 8$ ეს არის უკონფიციენტო
 $ax^2 + bx + c$ მაგივრი, ჩენ ეს შევავსოთ ორი წევრის ე. ი. კვად-
 რატად $x^2 + 6x + 9 - 9 + 8 = (x+1)^2 - 1$ გამოსახულების შესახებ
 კლასს ეკითხება „ეს რას ჩამოგაეს?“ შემდეგ აგრძელებს „ეხლა
 $x^2 + 6x + 8$ ამოქსნათ მეორე სერჩით“?! „ეს რომ ამოქსნათ $6x$
 წარმოვიდგინოთ ორ ალგებრულ ჯამად, გვექნება $x^2 + 6x + 8 =$
 $= x^2 + 4x + 2x + 8$ დაუცავირდეთ ამ ალგებრული ჯამის ნამრავლი
 რას გვაძლევს...გვაძლევს 8.-ს“. ანალოგიურად აგრძელებს საუბარს
 $x^2 + 7x + 12$ კვადრატული სამწევრის მიმართაც. გამოირჩა, რომ

ქლასში არ იცის განვლილი მასალა, არ იციან ერთწევრის, მაგრა
 ვალწევრის განსაზღვრა, არ იცის, რას ეწოდება იგივეობა, განტოლების
 ლება, რაში მდგომარეობს განტოლების ძირითადი თვისებები, რას
 ნიშნავს განტოლების ამოხსნა და სხვ. მოსწავლეებმა უერ გასცეს
 პასუხი ვერცერთ კითხვას, რომელიც კი კლასში დაგაყე-
 ნეთ. ანალოგიური ნაკლოკანებებით ხასიათდებოდა ამავე მასწავლე-
 ბლის არითმეტიკის გაკვეთილი V კლასში. მოსწავლეები არ-
 სწორად განსაზღვრავენ არაწესიერ წილადს, შეცდომას უშვებენ
 ურთიერთმარტივი რიცხვების განსაზღვრასას, რასაც მასწავლე-
 ბელი არ ასწორებს. მასწავლებელი არ ცავს პროგრამას. ჟემოწმე-
 ბის დღისათვის ჩამორჩენა აქვს 12—15 საათი. დაბალ ღონებები
 ჩატარდა ამავე სკოლის მასწავლებელ ლ. ჯიბლაძის ალგე-
 ბრის გაკვეთილი VIII კლასში. მოსწავლეებს არ ჰქონდათ
 მომზადებული საშინაო დაგალება — კადრატული განტოლების
 გრაფიკული ამოხსნა. მოსწავლეები არ ცავენ გრაფიკების
 აგების ელემენტარულ წესებს, ამგვარი აგების შედეგად
 კვ. განტოლების ფესვები გრაფიკიდან არ არის აღებული და ზე-
 პირად აქვთ მიწერილი: მოსწავლემ დაუშვა უხეში შეცდომა,
 განტოლებიდან $4x^2 + 7x + 12 = 0$ წერს $x^2 = 3x - \frac{7}{4}$, რაც მასწავ-
 ლებელს შეუმჩნეველი დარჩა, მოცემულ განტოლებას ნამდვილი
 ფესვები არ გააჩნია, ხოლო განტოლებას აქვს ნამდვილი ფესვები
 ამ გაუგებრობას მასწავლებელმა ოავი ველარ გაართვა. კლასმა
 სუსტად იცის განვლილი მასალა.

შემოწმებულ სკოლებში ცუდად არის დაყენებული მოსწავ-
 ლება საკლასო და საშინაო დავალებების რეეულების წარმოების
 საქმე. მოსწავლეთა ნამუშევრები უხარისხოა, ხშირად დაუსათავ-
 რებელი და დაუთარილებელია, ხშირია შემთხვევა, რომ მოსწავ-
 ლების ჩაწერილი აქვთ ამოცანები და მავალითები და მათი ამო-
 ხსნა ილა არის შესრულებული. ან ხდება მათი სისტემატური გა-
 სწორება მასწავლებელთა მიერ. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ნი-
 გოითის რვაწლიანი სკოლის V, VIII კლასებში (მასწავლებლები ც.
 ნიშნიანიძე, ლ. ჯიბლაძე), ქ. ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის
 VIII, IX, X კლასებში (მასწავლებლები ი. კალაძე, ზ. იმნაძე), შუ-
 ხუთის საშუალო სკოლის VII კლასში (მასწ. თ. კორძაძე), ჩოჩხა-
 თის საშ. სკოლის V კლასში (მასწ. გ. ვასაძე), ლანჩხუთის მე-2
 საშ. სკოლის VII კლასში (მასწ. ან. ბზეკალავა).

მოუმშადებლად ტარდება საკონტროლო წერები, ადგილზე
აქვს წერის ნორმების დარღვევის და ნამუშევართა უპასუხესმგება-
ლოდ გასწორების ფაქტებს.

შუხუთის საშ. სკოლის VII (მასშ. თ. კორძაძე) კლასის მოს-
წავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევრები უხარისხოა, წერისა-
თვის ადვილი ამოცანები და მაგალითებით წერჩეული, ნამუშევრები
არ არის ყურადღებით გასწორებული და ადვილი აქვს შეცდომე-
ბის გაუსწორებლად დატოვების შეძთხვების, რის შედეგად მოს-
წავლეთა წერითი ნამუშევრები შეფასებულია ლიტერალურად.
დაბალ დონეზეა ნაწარმოები ნიგოითის რეაწლიანი სკოლის მოს-
წავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევრები, V კლასის მოსწავ-
ლის 29 ნოემბრის ნამუშევარში ვკითხულობთ:

$$\begin{aligned} & "x + 2386 = 5764 \\ & \quad x = 5764 - 2368" \end{aligned}$$

მიღებული აქვს, რომ $x = 8150$. ამავე მოსწავლის ნამუშევარში
ვკითხულობთ:

$$\begin{aligned} & "x \cdot 407 = 9407 \\ & \quad x = 9407 \cdot 407" \end{aligned}$$

მიღებული აქვს $x = 369224819$. ამავე მოსწავლის 20 ოქტომბრის
ნამუშევარში ვკითხულობთ:

$$1) 500 \cdot 400 = 2000$$

$$\begin{array}{r} 2) \quad 6400 \\ - 750 \\ \hline 6325 \end{array}$$

ზემოთ დასახელებული შეცდომები მასწავლებლის მიერ გაუ-
სწორებელია და ნამუშევრები „4“-ზეა შეფასებული.

შეცდომები შეინიშნება აგრეთვე V კლასის სხვა მოსწავლეთა
ნამუშევრებში. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე
VII და VIII კლასის მოსწავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევ-
რები მათემატიკაში (მასშ. ც. ნიშნიანიძე, ლ. ჯიბლაძე).

კარგად მუშაობენ ფიზიკის მასწავლებლები გ. ხალვაში (1-ლი
საშ. სკოლა), მ. ტუღუში (მე-2 საშ. სკოლა) და ს. დონდოლაძე
(ჩოჩხათის საშ. სკოლა).

- အကုလာမာရမာဖွေဖြစ်ပေါ်လောင် ဝါစံပွဲလွှာ ဖုန့်ဝါယာ လာနိုင်တေး ၂၃-
(မာရီ. ၂. ဖုန့်ရှုံး), ၁-လေ (မာရီ. ၂. အပျော်ရာဘာ) လေ မြှေပြေဆင်တေး၊
(မာရီ. ၂. ဖုန့်ပြောလာဝါဒိုလေ) စာများလေ ပျော်လောင် ၃၀၈၆ပါရီတေး။

დაბალი მომზადება გამოაშეული კინტიციურ-ქარმოლების 1-ლი საშუალო სეოლის VI და VII კლასის (მასწ. ო. ასკურავა) მოსწავლეებმა. VI კლასის მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს ნივთიერების სიმკვრივე მოცულობის ერთეულში მყოფი მოლეკულების რიცხვით და ერთი მოლეკულის მასით, ვერ სარგებლობენ ნივთიერების სიმკვრივეთა ცხრილებით, არ იციან ინერცია და ვერ აქახელებენ მაგალითებს ყოფაცხოვრებასა და ტექნიკაში მისი გამოყენების შესახებ, ხოლო VII კლასის მოსწავლეებმა ვერ დასახელეს სხეულის შინაგანი ენერგიის შეცვლის ხერხები. ვერ არვევენ სითბოგადაცემის სხეებს (სითბოგამტარობა, კონვექცია, გამოსხივება), სითბოს, როგორც შინაგანი ენერგიის რაოდნობას, ვერ აყალიბებენ სითბორბალანსს და ნივთიერებათა აგრეგატულ მდგომარეობათა ცვლილებას, ვერ სინიან მოლეკულურ-კინტიციური წარმოლებებით.

მასწავლებელმა ახალი მასალის „ძალა“ (VII კლ.) გადაცემისას სათანადო დემონსტრაციებით ვერ განიხილა ძალა, როგორც მოძრაობის სიჩქარის შეცვლის მიზეზი, ხოლო VII კლასში გაუჩებელი დარჩა, თუ ერთიდაიმავე პირობებში ჩატომ იქარება სხვადასხვა ენერგია სხვადასხვა სითხეების ასაორთქლებლად, ან არის თუ არა ორთქლადქცევის კუთრი სითბო დამოკიდებული ტემპერატურაზე და სხვა.

ანალოგიური მდგომარეობაა შეხეთის საშ. სკოლაში, სადაც VIII და X კლასის მოსწავლეებმა განვლილი მასალის დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს.

შემოწმებულ სკოლებში ხაცლები ყურადღება ექცევა ფიზიკის კაბინეტის მატერიალური გარემონტის დაწყების საქმეს. ფიზიკის კაბინეტისათვის თითო არასაკმაო ფართობის ოთახია გამოყოფილი ლან-

ჩხუთის I, II, შუბუთის საშუალო და ნიგოითის რეაწლიან სკოლებში, სადაც დაბნელება პრემიტულად ხდება, ე-ექტრული დენტირული მიყვანილი ლაბორატორიულ მაგიდებამ, ე და სწავლებაში არ ხდება ტექნიკურ საშუალებათა (კინო, საპროექციო პარატი და სხვა) გამოყენება (მიუხედავად იმისა, რომ ამ სათვის ყველა პირობა მოეპოვებათ).

აღნიშნულ სკოლებში არასაემაო ყურადღება ექცევა ლაპორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმეს. ლაპორატორიული სამუშაოებისათვის არ მოეპოვებათ ხელსაწყოების კომპლექტები, ხოლო რაც აქვთ, ისიც არ არის გამოყოფილი კლასების მიეღვით. ამიტომ ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოები ტარდება არასწორად, ან ლაბორატორიული ცდის სახით, ან კიდევ რამდენიმე სახის ერთად. იშვიათად ტარდება ჩითვლები და საკონტროლო წერები, ხოლო სადაც კი ჩატარებულია ნამუშევრები შეუცასებელია (I და II და შუბუთის საშუალო სკოლები).

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებელი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მეზობის საქმეს. არ არის შექმნილი VI—VII და VIII—X კლასების მოსწავლეთა აგვის წრეები ფიზიკაში ცალ-ცალკე, ხოლო არსებული წრის გეგმა ზოგადია და არ ითვალისწინებს პრაქტიკული ხასიათის საკითხების შესრულებას. წრის წევრების მიერ არ არის შექმნილი არცერთი მოქმედი ხელსაწყო. ამასთან, წრის ხელმძღვანელები მოსწავლეთა მიერ დამუშავებულ თეორიულ მასალას არ იხილავნ საფუძვლიანად და არ უკეთებენ სათანადო რეცენზირებას.

ქიმიის კაბინეტი გააჩნიათ ლანჩხუთის I, II, III, სოფელ შუბუთის და ჩოჩხათის საშუალო სკოლებს, — სოფელ ნიგოითის საშ. სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტია — რაც შეეხება ლანჩხუთის რვაწლიან რუსულ სკოლას ფიზიკა-ქიმიის საერთო კაბინეტი აქვს, სოფელ ჩოჩხათის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი შედგება ორი თთახისაგან, — აქედან ერთი ოთხი — კლას-ლაბორატორიისათვის არის განკუთვნილი, ხოლო მეორე საპრეპარატოდ არის გამოყენებული. კაბინეტებში არ არის საქმარისი რაოდენობით დგამ-ავეჯი, რეაქტორები, ქიმიური ხელსაწყო-იარაღები, ქიმიური წარმოების მოდელები და მაკეტები, ტაბულები, დააპოზიტივები და სხვ. არ გააჩნიათ ზუსტი სია საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებისათვის საჭირო რეაქტივებისა და მოწყობილობის. შესწავლილი სკოლების ქიმიის კაბინეტებში სადემონსტრაციო მაგიდების უქონლობა და

մուսթիացլետա սամրաշան մացուցեծ արաբիսոյրո գաճաճյեծ մալիչը
աճնյալեծ հագրարկեթուլո սագրմոններապոտ պայծառ գոնանքասաւարդապատ
ալյմաս.

յիմօս նապոտուցրագ սթիացլուսատցուս գանսակուտրեթուլո պարագ-
լեծ ա ենիպեծ կլասցարեշը թշանձան սյուլեթո ար յիշուզա պարագ-
լեծ ա տցուտնայետո եղլսանցոցեծ գոմեացյեծ էր, իրուս մեպագոնյո-
թեշի ար սթիարմոցեծ մարտուզ յիմօսուրո անալութեծ հագրարկեծ,
ագրոյիմօսուրո սայստեցյեծ գանենլցա սյուլեթո ամյարագ օգրմենձա
թիրութրուզ մեպագոնյութեծ հաջուրագրեծ կոտեցուտ գագապարեթեթուլո
գագուցեծ ամ մենուզ գամոնեցլուս թարմուցլցենս սոցյել հոհեատուս
սամուալու սյուլուս յիմօս թիր (եղլմելցանյուլո ու. տոյարացյ), ամ
սյուլուս յիմօս յածունեթո թարմուցլցենուոս մուսթիացլետա մոյք լւ-
մացացյեթուլո տցուտնայետո եղլսանցոցեծ, եռլու իրուս մեպագոնյո-
թեշի օսուլեծ օսցուտ սայստեցյու, հոցուրուց արուս մոնուս մուլցեծ օս-
ուրմուս մեցըլու, մոնյրալուրո սամուալուս մելցցենուոնձան, տցուց-
յեծ օսուլուս և նուալացուս մելցցենուոնձան օսուլուս յամունոնձան եղրեցյու,
յագանիցը թիրութրուզ յիրմանուս յագրարկեծ մուլցեծ յուլցեծ մուլցեծ
շիրուցյուս յասաւոնձագ և սեցա.

մուսթիացլետա սայստերալու նամրաշը ըածալեարուսեռան-
ցա մեսիրալութեթուլո, հաւ օմանի մուլուտուցյ, հոմ ամ մոմարտեցյուտ
մասթիացլեթլուս պարագլեծ յամաեցուլուս յամաեցուլուս մարտեցյ.

ըամայմապոտուլութեթլուս սթիացլուս յիմօս հոհեատուր սամուալո
սյուլուս մասթիացլեթլու ու. տոյանացյ. օցո սուսերմաթուրագ յմթացլեծ
ջագայուլութեծ օսուլուս յասացյեծ ենոնուս անալ մա-
սալաս և յայցատուուս ձրուցյու ոյցենցեծ տցալսահինոնցեծան, արա-
րեծ սագրմոններապոտ պայծառ և սեցա. օցո ըաւոլութեթուլու ու պայ-
ծառ հագրարկեծ թիրնոյաս, հաւ պայծառ սաստերեցուս ենոն. VII
կլասի մուլու յանցնագ, դաացրուց ու և ուցալնատլուզ դասաս-
թուրա մուսթիացլեթեծ, հոմ յանցնագ արուս յանց, հոմելուց թիրա-
նելու սթիրուս. օմաստան յրտագ, ման մեցագրուց յանցնագ ուցլուս
նեղանութիւ. մուսթիացլետա շուժնա դամայմապոտուլութեթլուս, օսոնո օդ-
ցենց յիմօս թուլութեծ, աթարմոցեծ ամ թուլութեծ մարտուց
խաւատուս յիմօս յամունցահութեծ, թարմուցլցենա պէտ յիմօս
և պանցից մուլութեծ և սեցա. IX կլասի ըամայմապոտուլութեթլու
անենա մասալու — «ենարտա յունուցներապոտ և յամայմապոտուլութիւ» —
ջագայուլուս ձրուցյու օսաենել մասալաս ման որցանցնագ դայ-
յացմունա սկզբ օցլուս ձլունցմուս դագրցնուլութեն սոցլուս մելունյո-
թեծ մեմդցութ ալմացլութուս մեսաեց; ամ մոմարտեցյուտ մասթիացլեթելմա

აღნიშნა, რომ მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდა უშუალოდ არის დაკავშირებული სასუქების წარმოებას კუთხით, სასუქების წარმოება და გამოყენება კი დაფუძნებულია სსრარეგის დამხადებაზე, — ამდენად, ხაზი გაუსვა სსრართა კონცენტრაციის და გრამექვივალენტის ლრმად შესწავლის მნიშვნელობას, რომელიც უკავშირდება პარტიისა და სადირექტივო გადაწყვეტილებებს. აღნიშნულ საკითხზე მოსწავლეებს ამოახსნევინა ამოცანები. ასევე დამაკმაყოფილებელი არის დაყრებული ქიმიის სწავლება ლანჩხუთის რუსულ რვაჭლიან სკოლაში.

მასწავლებელი ლ. გუდაგაძე არც ერთ გაკვეთილს არ ატარებს თვალსაჩინოების გარეშე, მოსწავლეების ცოდნა დამაკმაყოფილებელია, VIII კლასის მოსწავლეები თავისუფლად ახდენენ მარტივი ხასიათის ქიმიურ გარდაქმნებს, არ უჭირთ სტრუქტურული ფორმულების წერა, მენტელევის პერიოდულ სისტემაზე დამაკმაყოფილებელი წარმოდგენა აქვთ და ა. შ.

ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი რ. კვასხვაძე უსისტემოდ ატარებს გაკვეთილს, X კლასში გამოსაყითხი მასალა „სტიროლი და პოლიმერიზაციის რეაქციის შექანიშმი“ და გასამეორებელი მასალა „მეტანი“ ერთ მოსწავლეს გამოჰკითხა თავიდან ბოლომდე და მასთან მუშაობას მოაწოდო 18 წუთი. ამნაირი მუშაობით უნდა აიხსნას, რომ X კლასის მოსწავლეთა ცოდნა ძალზე დაბალია, ისინი ვერ პასუხობდნენ თუ რას ეწოდება იზომერია, ვერ შესძლეს მაგალითებით განემარტათ ქიმიური აღნაგობის თეორია — ნივთიერებათა თვისებების დამოკიდებულება „მათ ქიმიურ აღნაგობაზე“, არ იცოდნენ რას უწოდებენ პომოლოგებს, ვერ წესდლეს აეხსნათ თუ რა განსხვავებაა ელასტიკურობასა და პლასტიკურობას შორის. გაუკირდათ აეხსნათ, აღნაგობის რა თავისებურებებით აიხსნება კაუჩუკის ელასტიკურობა და სხვა.

დაბალია იგრძეთვე VIII კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე. მათ უჭირთ ნეიტრალიზაციის რეაქციის გამომსახველი ქიმიური ტოლობის დაწერა, ვერ შესძლეს გოგირდმეუვაში მეავის წარმომქმნელი ელემენტის დასახელება და ამ ელემენტის ვალენტობის გამოანგარიშება, უცოდინარობა გამოამჟღავნებს ატომში ნეიტრონების, პროტონების და ელექტრონების რიცხვის გამოანგარიშების საკითხში და სხვა.

მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამოცანების ამონებსნას.

ნიგოითის საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ლექავა წილის ნახტარ არ ემზადება სადემონსტრაციო ცდების ჩატარებისათვის; VII კლასში თემაზე „უანგბადის თვისებები“ ჩატარა ცდა, მიღებულ უანგბადი, მაგრამ ვერ შესძლო მისი დაგროვება და მიღებულ უანგბადში გოგირდის, ფოსფორის, ნახშირის და რკინის მავთულის წვა ძალზე არაეფექტური გამოდეკა. მასწავლებელმა შოსწავლები ვერ დაარწმუნა, რომ ეს ნივთიერებები უანგბადში ენერგიულად იწვიან.

დაახლოებით ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება დანარჩენ შემოწმებულ სკოლებშიც.

ბიოლოგიის კაბინეტი გააჩნია ლანჩხუთის I, ჩოჩხათის და შუხუთის საშუალო სკოლებს, რაც შეეხება ნიგოითის საშ. სკოლას, აქ ქიმია-ბიოლოგიის საერთო კაბინეტია, ხოლო ლანჩხუთის II, III და რუსულ რვაწლიან-სკოლებს ბიოლოგიის კაბინეტები საერთოდ არ გააჩნდათ,—ბიოლოგიური ექსპონატები თავმოყრილი აქვთ რამოდენიმე კარადაში. არც ერთ სკოლაში არ არის მოწყობილი ცოცხალი ბუნების კუთხე, იმ სკოლებში, რომლებსაც გააჩნია ბიოლოგიის კაბინეტი, აქვთ მცენარეები, მაგრამ ეს გუცენარები არ არის შერჩეული ისე, რომ გამოსაყენებელი იყოს საპროგრამო მასალის შესწავლისათვის.

სკოლები განიცდიან ნაკლოვანებას ბიოლოგიური თვალსაჩინოების მხრივთც, მცირე რაოდენობით გააჩნიათ ნატურალური ხელსაწყოები (ჰერბარიუმები, სველი პრეპარატები, ცხოველთა ფიტოლები, აღამიანის და ცხოველების ჩონჩხები, ცალქეული ძვლები და სხვა); სიმბოლური ხელსაწყოები (ობიექტების სიბრტყითი გამოსახულება სურათების, ტაბულების, სქემების და ყოველგვარი ნახაზების სახით, დიაპოზიტივები, საპროექციო ხელსაწყოებისათვის, მულაჟები, მოდელები და ა. შ.); ლაბორატორიული მოწყობილობები (სხვადასხვა მარტივი კონსტრუქციის ხელსაწყოები და სხვა).

ბიოლოგიური თვალსაჩინოების სიმცირე და ბიოლოგიის კაბინეტების უქონლობა უარყოფით დაღს ასეამა შესწავლილ სკოლებში ბიოლოგიის სწავლების საქმეს.

სასკოლო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ლაბორატორიას ღია ცის ქვეშ, რომელიც უურო მეტი სიცხადით აცნობს მოსწავლეებს ბუნების კანონებს და ამასთან ერთად იძლევს მათ მცენარეთა მოვლის ელუმენტარულ ჩევებს; ის აგრეთვე აყვარებს მოსწავლეებს

შრომას, — მის აქცევს მოსწავლეთა მოთხოვნილებად. ამ მხრივ და
მაკაყაფილებელი მდგომარეობაა ჩინჩათის, შუხუთის და ნიგო-
თის საშ. სკოლებში. ლანჩხუთის III საშუალო სკოლას კულტურულ-
ლიად არ გააჩნია სასკოლო მიწის ნაკვეთი; ზემოთ აღნიშნული
სკოლების მიწის ნაკვეთები შეიცავენ როგორც მინდვრის, ისე სა-
ბოსტნე კულტურებს, ხეხილისა და კენკრის ბალებს. დეკორაციულ
მცენარეებს და ადვილობრივ გავრცელებულ კულტურებს, განსა-
კუთრებით ვაზს, ციტრუსოვან კულტურებს და ჩაის.

სასკოლო მიწის ნაკვეთების არსებითი ნაკლი მდგომარეობს
იმაში, რომ ნაკვეთებზე არ არის წარმოდგენილი ზოოლოგიური გან-
უოფილებები.

შექმნილია ნორჩ ნატურალისტთა წრე შესწავლილ ყველა
სკოლაში, წრეობრივი მუშაობის არსებითი ნაკლი ყველა სკოლაში
საერთოა. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული საკითხები ადა-
მინთა და ცხოველთა ანატომია-ფიზიოლოგიდან და ზოგადი ბიო-
ლოგიიდან, არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული ხასიათის
სამუშაოები და სხვა; გარდა მისია, არ ეჭცევა ჯეროვანი ყურად-
ღება იმას, რომ წრის შევრს, ნორჩ ნატურალისტს, მიეცეს ნატუ-
რალისტური დავალება საზაფხულო არდალეგების პერიოდში. ამ
თვალსაზრისით შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს ჩი-
ჩხათის საშ. სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე. ასევე დამაკმა-
ყოფილებლად მუშაობს ნიკოლის საშ. სკოლის ნორჩ მიჩურინელ-
თა წრეც.

ლანჩხუთის III საშ. სკოლაში ქიმია-ბიოლოგიას ერთი მას-
წავლებელი რ. კვასჩვაძე ასწავლის. სკოლებში შექმნილია ქიმიის
წრე, — ბიოლოგიის წრე არ არის შექმნილი იმ მოტივით, რომ ერთი
მასწავლებლისათვის ორი სავობრივი წრის ხელმძღვანელობა
ძალზე ძნელი იქნებოდა. შექმნილი მდგომარეობიდან კი იოლი
გამოსავლის პოვნა არ იყო ძნელი, სკოლაში უნდა შექმნილიყო
აგროქიმიის წრე, სადაც მოსწავლები გაიღრმავებდნენ იავის
ცოდნას, როგორც ქიმიაში. ასევე ბიოლოგიაში.

შესწავლილ სკოლებში ახალ სასწავლო პროგრამებზე გადა-
სვლაზე ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული, სკოლების
სასწავლო-მატერიალური ბაზა ამ მიმართებით არ იძლევა იმის
საშუალებას, რომ ბიოლოგიაში ჩატარდეს პროგრამით გათვალის-
წინებული ლაბორატორიული პრაქტიკულები; მეტად თვისებურად
იყნებენ აღნიშნული სკოლების მასწავლებლები მოსწავლეთა სა-

სწავლო რვეულებს. რვეულებში მოსწავლეები არ იქნებენ გაკვეთი თაღებზე დემონსტრირებული ცდების სქემატურ ჩანახატებს. მელსაც დართული უნდა ჰქონდეს განმარტება ან მოკლე დასკვნა, რვეულებში არ იწერება ბიოლოგიური ტერმინები სათანადო განმირტებებით და სხვ. არ არის მოწესრიცებული ბიოლოგიაში საკონტროლო წერების ჩატარების საჭმეც—ლანჩჩუთის 1-ლი საშ. სკოლის მასწავლებელს გ. გოგუაძეს საკონტროლო წერის რვეულები აფგანშე არ აღმოაჩნდა. ასევე, შეიცის საშ. სკოლის მასწავლებელს ქ. ორაგველიძეს არ აღმოაჩნდა VII—VIII კლასების საკონტროლო წერის რვეულები. ნივოითის საშ. სკოლის მასწავლებელი ა. ნიკოლაიშვილი მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებს სისტემატურად არ ასწორებს და საკონტროლო წერის ნიშნები არ გადააქვს საკლასთ ურნალებში.

ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ქიმია ბიოლოგიის სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიმართებით რაოთნის შესწავლილ სკოლებს გარკვეული ნაბიჯები აქვთ გადაღმული, გააჩნიათ სასკოლო კინო-დანადგარები, მაგრამ სწავლების პროცესში მათ გამოყენებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

სკოლებში არც ერთ მასწავლებელს არ აღმოაჩნდა გაკვეთილის გეგმა, საიდანაც ჩანდეს, რომ მათ გაკვეთილის ჩატარების დროს კინო ფილმი გამოიყენეს. ასევე, ნაკლები უურადღება ექცევა გაკვეთილებზე დიაფილმების და ლიაპოზიტივების გამოყენებას.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო-ექსკურსიების ჩატარებას. ეს კი გარკვეულ დიალს ასევე ქიმია ბიოლოგიის სწავლების საქმეს.

კარგად არის დაყრენებული საზოგადოებათ მცოდნეობის სწავლება ლანჩჩუთის 1-ლ საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ჩიკაშვილი). მოსწავლეებმა განვლილი საპროგრამო მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ შეგნებულად გადმოსცეს მატერიალი და მოძრაობა, სამყაროს მოვლენათა განვითარება და საყოველთაო კავშირი. მატერიალიზმი და იდეალიზმი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა, შრომა და განაწილება, დაგეგმვა და ა. შ.

სათანადოდ ისწავლება ისტორია ლანჩჩუთის მე-2 საშუალო სკოლაში. მასწავლებლები ალ. გოგუაძე და ი. ჩხაიძე სათანადოდ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, დიდაქტიკურ პრინციპებზე დაურღვნობით ლოგიკური თანმიმდევრობით აყალიბებენ თავიანთ

საუბრებს და გზადაგზა თვალსაჩინო დაზაქტიკური მასალების გა-
მოყენებით კიდევ უფრო ეფექტურ და სანტერესოს ხდიან შეცვლა
თოლებს, რის შედეგადაც მოსწავლეებს საპროგრამო მასალის
შეკითხო და საფუძვლიანი ცოდნა გაიზიართ. VII კლასის მოსწავ-
ლეებმა შეგნებულად გადმოსცეს კაპიტალისმის გამარჯვება და
განმტკიცება ინკასში, სიტრანგეთის ბურუუაზიული რეკოლუცია
მე-18 საუკუნეში, უტოპისტების სერ-სიმონის, ფურიეს, ოუენის
მიერ კაპიტალიზმის კრიტიკა, სამართლიანთა საზოგადოების
შემუშავება და რეკოლუციური ბრძოლების ფურიე ებლობის უარ-
ყოფა. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ მეცნიერული კომუნიზ-
მის მოძრვების ჩამოყალიბება და სხვ. VII კლასის მოსწავლეებმა
საქართველოს ისტორიაში შეგნებულად იციან განვლილი საპრო-
გრამო მასალა.

დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება ნიგოითის საშ.
სკოლაში. მასწავლებელი ი. თავდიშვილი ვერ ერკვევა ისტორიუ-
ლი ფაქტებისა და მოვლენების არსში. IX კლასში ახალი მასალის
„მეორე ინტერნაციონალის შექმნა“ ახსნისას არაფერი უთქვამს
XIX საუკუნის დასასრულზე და XX საუკუნის დასაწყისშე, რო-
გორც პროლეტარული სოციალისტური პარტიების შექმნის, ზრდისა
და დავაშვაცების პერიოდზე, ოპორტუნიზმის გაძლიერების მიზე-
ზებსა და მილიერანიზმზე, საპირველმაისო დღესასწაულის ჩატა-
რების თაობაზე მიღებული დადგენილების შესახებ და ა. შ. მოს-
წავლეებმა ვერაფერი თქვეს ისეთ საკითხზე, როგორიცაა საფრან-
გეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა, გერმანია, ინგლისი, საფ-
რანგეთი, სამხრეთი და დასავლეთი სლავები, აშშ, ლათინური
ამერიკა, იაპონია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის
დასაწყისში და ა. შ. ასევე, X კლასის მოსწავლეებმა არ იციან
საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, მასი პირველი პერიო-
დის სიძნელენი. იძულებითი უკანდახევა და მძიმე თავდაცვითი
ომები. ბრესტის ციხე-სიმაგრის, ლენინგრადის, ოდესის, სევასტო-
პოლის და კიევის გმირული დაცვა, ძირეული გარდატეხა დიდი
სამამულო ომის მსვლელობაში. დიდ სამამულო ომში საბჭოთა
კავშირის გამარჯვების მიზეზები და მნიშვნელობა და ა. შ.

ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ.
დ. სოსელი) მოსწავლეებმა სუსტად იციან რეკოლუციური ვითა-
რება საფრანგეთში, ცენტრალური შტატების მოწვევა და მისი გა-
დაქცევა ეროვნულ კრებად, სახალხო აჯანყება და ბასტიონის
32

აღება, იაკობინელთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა
ნაპოლეონისეული ივერიის დაცემა, ბერბონთა მონარქიის უკანასკნელი
ტავრაცია საურანგებაში. ნაპოლეონის ომების შედევები და ისტო-
რიული მნიშვნელობა და სხვა.

ასევე დაბალი მომზადება გამოავლინეს საზოგადოებათმცოდ-
ნეობათა და ისტორიაში შუბუთის საშუალო სკოლის (მასწ. დ. გო-
გუაძე) მოსწავლეებმა.

დამაჯმაყოფილებლად ისწავლება გეოგრაფია წოჩხათის (მასწ.
1. გოგელია) და ლანჩხუთის 1-ლ (მასწ. ფირცხალაიშვილი) საშუა-
ლო სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში სუსტია შინასასკოლო კონტროლი და
ხელმძღვანელობა სკოლის დირექტორი უა დირექტორის მოადგილე
სასწავლო მუშაობის დარგში გულდასმით არ ემხადებიან გაკვეთი-
ლებზე დასწრები! ათვის და ვერ წვდებიან გაკვეთილის ას სს, უერ
აძლევენ მასწავლებელს საფუძვლიან მითითების მუშაობას და საგ-
ნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ნიკოლის საშუალო
სკოლის დირექტორს გ. ჩხაიძეს მოსმენილი აქვს მნილობ 31 გა-
კვეთილი, ანალიზები ზერელე და არაფრისმთქმელია, ზოგჯერ
ჩანაწერები გაუმართავი და უაზრო. მაგალით, ჩანაწერებში
ვკითხულობთ: „მასწავლებელმა გასაგებად, მაჟლი მონდომებით
ახსნა, მაგრამ მოსწავლეებს გაუჭირდათ ათვისება“. იგი რე-
ლიად არ ესწრება საკონტროლო წერის გაკვეთილებს ასევე ზერე-
ლედ ისმენს გაკვეთილებს დირექტორის მოადგილე პ. ნიკოლი-
შვილი. ანალიზები უწიგნურად არის დაწერილი, ისე, რომ, ზოგ-
ჯერ მისი გაგება შეუძლებელი ხდება. მის ჩანაწერებში ხშირად
შეხვდებით შეუსაბამობას: „მასწავლებელმა დამაჯერებლად, მოსწავ-
ლეთა დახმარებით ახსნა, მოსწავლეებმა ვერ გაიგო“!. იგი გა-
კვეთილებზე დასწრების შედეგად აქვს ქიმიისა და იტორიის მას-
წავლებლებს, გაკვეთილებზე ჩერნმა დასწრებამ კი გამოავლინა,
რომ ისინი სუსტად მუშაობენ. პ. ნიკოლიაშვილს მხოლოდ 20
გაკვეთილი აქვს მოსმენილი. შუბუთის საშ. სკოლის დირექტორს
პ. ხომერიქს მოსმენილი აქვს მხოლოდ 18 გაკვეთილი. საკონტ-
როლო წერებს არჩევს ისე, რომ არცერთი საკონტროლო წერის
გაკვეთილს არ დასწრებია. დირექტორის მოადგილეს დ. გოგუა-
ძეს მოსმენილი აქვს 40 გაკვეთილი. საკონტროლო წერის გაკვე-
თილებს არ აანალიზებს, არ არცევს თუ რამდენად დამოუკიდებ-
ლად ასრულებდნენ მოსწავლეები წერით სამუშაოს და რამდენად

ობიექტურად შეაფასა მასწავლებელმა წერითი ნაშრომები. ჩოჩინი
თის საშუალო სკოლის დირექტორს მ. გუგელიას 31 და დირექტორი
ტორის მოადგილეს სასწავლო მეშაობას დარგში და მშენებლების
ბაძეს 49 გაკვეთილი აქვთ მოსმენილი. ლანჩხუთის 1-ლ საშუალო
სკოლის დირექტორს გ. ჩხაიძეს 23 და და რექტორის მოადგილეს
სასწავლო მეშაობის დარგში მ. მოისწრაფიშვილს 33 გაკვეთილი
აქვთ მოსმენილი, ისინი სრულიად არ დასწრებიან საკონტროლო
წერის გაკვეთოლებს მე-10 კლასებში. ლანჩხუთის მე-2 საშუალო
სკოლის დირექტორს მ. ტუღუშე—29 და დირექტორის მოადგი-
ლეს სასწავლო მეშაობის დარგში ვ. მგელაძეს—35 გაკვეთილი
აქვთ მოსმენ ლი.

შემოწმებულ სკოლებში დაბალ ღონეზე ტარდება პედაგოგიუ-
რი საბჭოს სხდომები, საკითხები ლრმად და საფუძვლიანად არ
იხილება, არ ვლინდება ცალკეული საგნების სწავლებაში არსებული
სერიოზული ნაკლოვანებანი და არ ისახება ქმედითი ღონისძიებანი
მის გამოსასწორებლად, სასწავლო მეოთხედების ბოლოს არ არის
საფუძვლიანად გაანალიზებული საგნების სწავლების ეთ კლასის
ხელმძღვანელების მეშაობა, არაა გამოვლინებული ნაკლოვანებანი
და არაა დასახული გადამტკრელი ღონისძიებანი მის გამოსასწორებ-
ლად. ნაცვლად იმისა, რომ ნაკლოვანებებზე მიუთითონ მასწავ-
ლებლებს; დაუმსახურებლად აქებენ მათ და ამით ზიანს აყენებენ
სწავლების საქმეს. ნივითის საზუალო სკოლის პედაგოგიურ საბ-
ჭოზე დაუმსახურებლად არის ნაქები ისტორია-გეოგრაფიის, ქიმია-
ბიოლოგიის მასწავლებლები. შუხუთის საშუალო სკოლის პედაგო-
გიურ საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული არცერთი საგნის
სწავლების მდგრამარეობა, ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის პე-
დაგოგიურ საბჭოს სხდომის ჩანაწერებში არის შესაბამისი: „მა-
თემატიკის მასწავლებლები გაკვეთილებს მომხალებულად ატარე-
ბენ, მაგრამ მოსწავლეები დამოუკიდებლად ვერ ხსნან საშინაო
დავალებად მიცემულ ამოცანებს და მაგალითებს“... ან „ფიზიკისა
და ქიმიის მასწავლებლები პროგრამული მისალის სრული შესაბა-
მისობით მეშაობენ. მათ მიერ გაკვეთილები საჭირო თვალსაჩინოე-
ბითა და ცდებით ტარდება, მაგრამ სწავლებაში ტექნიკურ საშუა-
ლებათა გამოყენებისათვეის მათი მუშაობა არასაქმითა და ა. შ.

ფორმალურ ხასიათს ატარებს შემოწმებულ სკოლებში მეთო-
დური მეშაობა. მასწავლებლები ნაკლებად კითხულობენ პოლიტი-
კურ, მეცნიერულ, მატერიულ, პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატუ-

რას. მეთოდგაერთიანებების გეგმები არ არის სწორად შედგენილი. გათვატიკის მეთოდგაერთიანებაში (ლანჩხუთის 1-ლი სკოლაზე) ხაცელად მათემატიკის მეთოდიკის საკითხებისა, წაკითხული აქვთ რეფერატები საპროგრამო მასალის საკითხებზე. ასე, მაგალითად, „ადრე შესწავლილი ელექტროტარული ფუნქციების თვისებებისა და გრაფიკების მიმოხილვა“. ეს რეფერატი ღმდენად უპასუხისმებლოდაა შესრულებული ლანჩხუთის მე 2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის გ. დათიაშვილის მიერ, რომ ბოლოში იგი ასეთ წარწერასაც კი უკეთებს „ნაპარები“ აგებულია სახანგი ხელსაწყოების გამოყენების გარეშე და არაზუსტია“. მიუხედავად ამისა, მას ამტკიცებს მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. იმნაქე. ნიკოლაის საშ. სკოლაში კი ისეთი რეფერატია წარმოდგენილი, რასაც საერთოდ მათემატიკის სწავლებასთან კავშირი არ იქნება.

ლანჩხუთის 1-ლ, მე-2, მე-3. ნიკოლაის, შუხეთის, ჩიჩხათის საშუალო სკოლებში მეურისურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ზოგი დღეები მათემატიკური, ძნელად ასათვისებელი საგნებითა დატვირთული, ზოგი კი შედარებით იოლად ასათვისებელი საგნებით. ამგვარად, მოსწავლეებისათვის არბს ძნელი და იოლი დღეები, რადგან, სასწავლო დღეები თანაბარი სიძლიერის საგნებით არ არის დატვირთული. ორ და სამ საათიანი დისციპლინები ცხრილში უშეალედოდ არის მოქცეული, ერთგვაროვანი საგნები—ფიზიკა, ქიმია და ენები ერთმანეთზე მიუყოლებით არის მოცემული, ძნელად ასათვისებელი საგნები ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა ბოლო მე-6 გაკვეთილზეა მოქცეული. შუხეთის საშუალო სკოლაში კი ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები დაწყვილებულია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა იყალებიური წარმატება. სკოლებში შეფასებული 7286 მოსწავლიდან ვერ ასწორებს 1044 მოსწავლე. საგულისხმოა, რომ I—IV კლასებში 3234 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 213 მოსწავლე, ხოლო პირველი კლასის 834 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 37 მოსწავლე. ჭათ შორის ლანჩხუთის რუსულ 8-წლიან სკოლაში (დირექტორი გ. რუსიძე) —4, აცინის საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ჭინჯლაძე) —3, ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლაში —2, წყალწმინდის საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ურუშაძე) —2, ჭანჭათის 8-წლიან სკოლაში

(დირექტორი შ. ჭარმაკაძე) — 2, ომფარეთის დაწყებითი სკოლის /
1-ლ კლასში 11 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 2 მოსწავლე უზრუნველყოფილობა
მეტიც, შუხუთის საშუალო სკოლის მოსამზადებელ კლასში და-
ტოვეს ერთი მოსწავლე. ასევე არაღამაკმაყოფილებელი მდგომა-
რეობაა გამოსაშვებ მე-10 კლასში. ჯურულვეთის საშუალო სკოლა-
ში (დირექტორი ა. ანთაძე) 28 მოსწავლიდან ვერ ასწრებს — 10,
წყალწმინდის საშუალო სკოლაში 28 მოსწავლიდან — 7. ლანჩხუთის
1-ლ საშ. სკ. 41 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 14 მოსწავლე და
ა. შ. სახალხო განათლების განყოფილებას სასწავლო მეოთხედის
ბოლოს არ განუხილავს რაიონის სკოლებში აკადემიური წარმატე-
ბის შედეგები და არ გამხდარა იგი მსჯელობის საგნად.

ნიგოითის საშუალო სკოლის ორგანიზატორი გ. ჩხაიძე, რო-
მელიც ფიზკულტურის სპეციალისტია, ვერ ერკვევა სკოლათმცოდ-
ნების საკითხებში, ნაკლებად იცნობს ჩვენი ქვეყნის საშინაო და
საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ამდენად მას არ შეუძლია აწარ-
მოოს მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმნიდელობითი მუშაო-
ბა, იგი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა არასასწავლო თავისუ-
ფალი დროის გონივრულად და საქმიანად ორგანიზაციას, ვერ
რაზმავს მოსწავლეთა კოლექტივს მაღალი აკადემიური წარმატები-
სათვის საბრძოლველად, სუსტად ხელმძღვანელობს პიონერულ და
კომერციულ ორგანიზაციებს.

ლანჩხუთის 1-ლ (დირექტორი გ. ჩხაიძე), მე-2 (დირექტორი
მ. ტუღუში), მე-3 (დირექტორი ი. მიქანაძე), ნიგოითის (დირექ-
ტორი გ. ჩხაიძე), შუხუთის (დირექტორი ა. ხომერიკი), ჩოჩხათის
(დირექტორი მ. გოგელია) საშუალო სკოლების წლიური სამუშაო
გვემები ტრაფარეტული და ზოგადია. გეგმებში კონკრეტულად
არაა მოხაზული საკითხები, არაა გათვალისწინებული შესრულების
კალენდარული ვადები და შემსრულებლები, არაა გათვალისწინე-
ბული ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის, საპროგრამო
მასალების გავლის და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალ-
საჩინოების გამოყენების, ახალ პროგრამებზე გადასვლის, ფაკულ-
ტატიური მეცადინეობების მდგომარეობის და სხვ. საკითხების
შესწავლა. წლიური გეგმები პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფორ-
მალურად იხილება. არ ჩანს მასწავლებელთა წინადადებები გეგმის
საკითხების შესავსებად. ამგვარად, გეგმა არ წარმოადგენს სკოლის .
მეზაკთა კოლექტიური აზრის ნაყოფს.

ასევე ზოგადი და ტრაფარეტულია კლასის ხელმძღვანელების
სამუშაო გეგმებიც.
დასახელებულ სკოლებში იშვიათად იწერება პრანგებები სა-
სწავლო-აღმზრდელობით საკითხებზე.

- შ. ლომიძე (ხელმძღვანელი)
- ვ. ქურციკიძე
- ს. ამზოევი
- თ. მელქაძე
- ა. აბაშიძე
- გ. გიორგობიანი
- გ. ჯავახიძე
- თ. ხურცილავა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიისა და ალკა ცენტრალური კომიტეტის
სამდივნოს მრთობალიზი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1970 წლის 25 დეკემბერი

ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები გარკვეულ დახმარებას უწევენ სკოლებს, პიონერულ რაზმეულებს, პიონერულ და კომკავშირულ აქტივს, პიონერხელმძღვანელებს, პიონერული და კომკავშირული კლასების ხელმძღვანელებს ბავშვთა კომწისტური სულისკეთებით აღზრდის საქმეში.

ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და წრეების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია აქტუალური საკითხები და დაცულია ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

სასახლეები კაღრებით ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დაკომპლექტებული; ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაკთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა. მათ აქვთ ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილებაც. სასახლეებში საინტერესო მუშაობას ატარებს საქალაქო-კომკავშირული შტაბი „შევარდენი“ და პიონერული აქტივის სწავლების უნივერსიტეტი „კოლონი“.

საქალაქო-კომკავშირული შტაბი „შევარდენი“ აწყობს ახალგაზრდებისათვის შეჩვედრებს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებთან, ძველ რევოლუციონერებთან. ტარდება აგრეთვე მოწინავე სასკოლო-კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესწავლა-გან-

ზოგადება, თემატური დილ-სალამოები, სპორტული შეჯიბრებები, ტალანტთა კონკურსები, გონიერამახვილთა ტურნირები და სხვ.

საინტერესო მუშაობას ეწევა პიონერული აქტივის სწავლების უნივერსიტეტი „ერცონი“. უნივერსიტეტში ატარებენ სემინარულ მეცანონებებს პიონერულ აქტივთან და უფროს პიონერ-ხელმძღვანელებთან. სემინარების თემატიკა მთიცავს პიონერული რაზმების საყავშირო მარშის „მზად ვართ“ ძირითად საკითხებს.

პიონერული აქტივის ოთახში ჭევთ გაფორმებული მეთოდური კუთხე პიონერული აქტივის სწავლების უნივერსიტეტის წევრები ხშირად აწყობენ პიონერულ შექრებებს, ექსკურსიებს ისტორიულ და რევოლუციურ ნაგილებში.

ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შენობა მიმზიდველად არის გაფორმებული. გემოვნებითაა გაქვეთებული სტენდები: „ლენინი 100“, „ჩევნი მეგობრები“, „ჭალარი მასწავლებელი“, „საქართველო, პარტია 50“, „ჩევნ ვნატავთ“, „ჩევნი საჩუქრები“ და სხვა. აღნიშვნის ღირსია ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის — „მეგობრობის“ მუშაობა, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს პენსიონერი მ. კალაძეზი. კლუბის „მეგობრობის“ წევრებს მჰიდრო კაგშირი აქვთ დამყარებული ბულგარეთის დედაქალაქის სოფიის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერებთან.

ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შექმნილი თვითმოვქმედი წრეები დაკომპლექტებულია ქალაქის სკოლების წარჩინებული მოსწავლეებისაგან.

კარგად მუშაობს ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების საოცერო (ხელმძღვანელი ჭ. ლატარია), პიონერული აქტივის (ხელმძღვანელი ს. შონია) — წრეები;

დამაკაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საწრეო მუშაობას ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ლიტერატორთა, ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სახვითი ხელოვნების წრეების ხელმძღვანელები. წრეები მუშაობენ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით. სასახლეში მრავლად მოიპოვება მოსწავლეთა ხელთნაკეთობები, ნახატები, ნაძერწები, ნაქარგები, ნარკვევები. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე პერიოდულად ატარებს პიონერულ თამაშობებს: „ვინ უფრო კარგად, ვინ უფრო სწრაფად“, „მშენებლობა“, „ჭადრაქის დაწყობა“, „საღრის გადაცემა“, „ბურთის გადაცემა“, „საახალწლო ნაძვის ხე“ და სხვ.

შიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, აღნიშნულ პიონერთა
და მოსწავლეთა სასახლეებში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის
ნაკლოვანებებს.

ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახ-
ლების ცალკეული წრეები სასწავლო წლის განმავლობაში არ
ატარებენ მასობრივ ლონისძიებებს, სასწავლო წელს ამთავრებენ
ჩატარებული მუშაობას შეჯამების გარეშე და არ ეხმაურებიან
ისეთ მასობრივ რესპუბლიკურ ლონისძიებებს, როგორიცაა „ნორჩი
ტექნიკოსები სამშობლოს“, „ნორჩი ნატურალისტთა დახმარება
სკოლას“, „მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია“,
ნორჩი ფოტომოუგარულთა, ბუნების ნორჩი მეგობართა, ნორჩი მხა-
რეთმცოდნეთა, ნორჩი მხაზველთა და ნორჩი ფერნოლოგთა შეკრე-
ბები და სხვ.

ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წრეების მე-
ცალინეობაზე მოსწავლეთა დასწრება არადამაქმაყოფილებელია.
სახვითი ხელოვნების, ნორჩი მხაზველთა, სასულე ორკესტრისა და
სხვა წრეების მეცალინეობას საშუალოდ ესწრებოდა წრეში ჩაბმულ
მოსწავლეთა 30—35 %.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს არ გააჩნია
სათანადო ბაზა სპორტული, ტექნიკური წრეების მუშაობისათვის.
უვარესია სახარატო და საღურგლო დაზვები და სხვა ხელსაწყო-
იარაღები.

ნორჩი ელექტროტექნიკოსთა, ავიამოდელისტთა და ნორჩი კი-
ნომოუგარულთა (ხელმძღვანელი ა. შენგელაია) მუშაობა ფართიუ-
რად ჩაშლილია. სამუშაო ოთახები დამტვერიანებულ-დანაგვიანე-
ბულია, არა აქვთ ბავშვთა ნამუშევრები. ამ ტექნიკურ წრეებს
1960 წლიდან არც ერთ რესპუბლიკურ ლონისძიებაში მონაწი-
ლეობა არ მიუღია. სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის
გამო გაძნელებულია სახვითი ხელოვნებისა და ნორჩი მხაზველთა
წრეების ნირმალური მუშაობა. ვერ კიდევ არ არის მომზადებული
პირობები ნორჩი აეტომატიკოსთა, ტელემექანიკოსთა, ნორჩი კოსმო-
ნავტთა წრეების შექმნისათვის.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 1967 წელს
გადაეცა საექსპლოატაციოდ რეკონსტრუქციებული შენობა, რომ-
ლის პირველი სართული (11 ოთახი) პროექტით გათვალისწინე-
ბული იყო საწრეო მუშაობისათვის. შენობის სარდაფის კედლები

კერტიყალური იზოლაციის უქონლობის გამო დანესტიანებულია; საჩდაფში, რომელშიც სასახლის სამუშაო ოთახებია განლაგებული; ჩასასვლელი ბეტონის საფენსურები უვარვისია და მოითხოვს წელის მეორედ გადატებას; ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე კვლავინდებურად განიცდის ბინის დიდ სივიწროვეს.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ოთხი წელია ცენტრალური გათბობის საქმე მოუწესრიგებელია.

ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის განყოფილების გამევებად და რიგი წრეების ხელმძღვანელებად დანიშნულია საშუალო განათლების მქონე არახპეციალისტები.

მიუხედავად არსებული პირობებისა, ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში არ არის შექმნილი პიონერული ოეატრი და მომღერალთა გუნდი.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ ხდება ცალკეული წრეების მუშაობის საკითხების განხილვა. განათლების განყოფილებებს არ შეუსწავლიათ სასახლეებში არსებული წრეების მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს სხუომები მოუმხადებლად ტარდება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდიცნო აღგენენ:

1. დაევალოს ჭიათურისა და ზუგდიდის განათლების განყოფილებათა გამგეებს ამს. ამს. გ. ცხადიაშვილს, კ. მაქაიას, ალკა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდიცნებს ს. გაფრინდაშვილსა და ო. ჭითანავას:

ა) პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან პიონერული ოეატრები, საქალაქო მნიშვნელობის მომღერალთა გუნდები, ხალხურ საქარავთა ანსამბლები, გააუმჯობესონ სასახლეში არსებული სახვითი ხელოვნების წრეების მუშაობა და უზრუნველყონ მხატვრულ თვითშემოქმედებით და სახვით ხელოვნების გამოფენებსა და რესპუბლიკურ ოლიმპიადაში ბავშვთა აქტიური მონაწილეობა;

ბ) სკოლების დირექტორების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორების, უფროს პიონერხელმძღვანელებისა და სასახლეების მუშაქთა საქალაქო თათბირზე განიხილონ პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის დებულება და მიიღონ ზომები ცხოვრებაში მის გასატარებლად;

გ) პერიოლულად შეისწავლონ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მუშაობა, საკითხი განიხილონ სასალხო განათლების

საბჭოსა და ოლქური რეიგომის ბიუროს სხდომებზე და დასახონ კონტრეტული ლონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და გადაჭრით გააუმჯობესონ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მუშაობა, გადააქციონ ისინი რაიონში პიონერული, კლასგარეშე და სეიოლისგარეშე მუშაობის მეთოდურ ცენტრებად, უზრუნველყონ ყოველ რესპუბლიკურ მასობრივ ღონისძიებებში (მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ფოტომოუგარულთა, ნორჩ მხაზველთა კონკურსები, ნორჩ მხარეთმცოდნეთა, ნორჩ ფენოლოგთა, ბუნების ნორჩ მეცნიერთა შეკრებები) მოსწავლეთა მონაცილეობა, სასახლეებში გამოუკენების, კონკურსებისა და კონფერენციების წინასწარ ჩატარება და მათში წრეების წევრთა მასობრივი ჩაბმა;

ე) როგორც წესი, ყოველი ხასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში განიხილონ და დაამტკიცონ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, პიონერული აქტივისა და მასობრივი მუშაობის გეგმები;

ვ) 1971 წლის 1 თებერვლის დღე გადასინჯონ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მუშაკთა შემაღერნლობა და სასახლეების მუშაობაში ჩააბან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, სკოლისგარეშე მუშაობის დარგში გამოცდილი მოწინავე პედაგოგები და პიონერული მუშაკები;

ზ) პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებს ცენტრალიზებული ფონდებიდან შეუძინონ პიონერული ატრიბუტები, ტექნიკური, სახვეთი ხელოვნებისა და ხაზის წრეებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მაღლები.

2. აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პირველი ხართულის კაპიტალური რემონტის ჩატარებისათვის დაწესებულია მზადება და იგი ჩატარდება 1970/71 სასწავლო წლის ბოლომდე ადგილობრივი სახსრებით.

3. დაევალოს ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგეს ამნ. კ. მიქაილის და ოლქ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მდივანს თ. ჭითანავას:

ა) შილონ გადამჭრელი ზომები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

ბ) განიხილონ და გადაწყვიტონ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტექნიკური წრეების ხელმძღვანელის საკითხი;

გ) ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს კაპიტალური რეზონტესტრაზ
რისხიანად ჩატარებისათვის.

4. განათლების სამინისტროს საგეგმო-სიფინანსო სამმართვე-
ლომ (ამხ. ა. ქვაჭაძე) სპორტული ტექნიკური წრეების—გემთმშე
ნებელთა, ნორჩ ავტომობილისტთა, ნორჩ ავტომოცუარულთა, ავ-
ტომატიკის, ტელემექანიკისა და კოსმონავტთა წრეებისათვის
ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოყოფს რამდე-
ნიმე ფინანსიური ჯგუფი.

5. მოზარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ
(ამხ. ს. არველაძე), გაითვალისწინოს ქ. ჭიათურის პიონერთა და
მოსწავლეთა სასახლისათვის ერთი ავტობუსის გამოყოფა სკოლებ-
თან კავშირის დასამყარებლად.

6. ბ. ძნელიძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სა-
სასახლემ (ამხ. ქ. დევდარიანი) მიავლინოს ჭიათურისა და ზუგდი-
დის პიონერთა სასახლებში გამოცდილი მუშაკები მეთოდური
დახმარების აღმოსაჩენად

7. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
წინაშე:

ა) ავტობუსის მარშრუტების დაწესების შესახებ ქ. ჭიათუ-
რასა და პიონერთა სასახლეს შორის;

ბ) ქ. ჭიათურის პიონერთა სასახლის წრეებში გაერთიანე-
ბული ბავშვებისათვის საბავირო გზით უფასოდ მგზავრობის
შესახებ

8. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ.
ა. ჩხიოვაძე), საქართველოს ალკქ ცენტრალური კომიტეტის სა-
სკოლო განყოფილებამ და პიონერთა რესპუბლიკურმა საბჭომ
(ამხ. ზ. ლომიძე) პერიოდულად შეამოწმონ აღვილებზე ამ დადგე-
ნილების შესრულების მიმღინარება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს ალკქ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ქ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ.
 • 30 დეკემბრის ბრძანება № 754

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო
 ღონისძიებათა 1970 წლის შედეგებისა და 1971 წლის გეგმის
 შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღ-
 ნიშავს, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და
 მისმა სოხუმის, ბათუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებმა
 1970 წელს ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს მასწავლებელთა კვალი-
 ფიკაციის ასამაღლებლად. გადამზადებულია 11.108 მასწავლებელი
 და განათლების დარგის სხვა მუშავი. მუშაობის პროცესში განსა-
 კუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი პროგრამებით სწავლების
 საკითხებს. რიგი განათლების ადგილობრივი ორგანოები მეტი პა-
 სუხისმგებლობით მოეკიდნენ მასწავლებელთა გადამზადების საქმეს.

კურსებგავლილი მოწინავე მასწავლებლები ადგილებზე ატა-
 რებენ მეთოდურ მუშაობას ახალი პროგრამებით სწავლების სა-
 კითხებზე.

რესპუბლიკის სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მასწავ-
 ლებლები მასობრივად გადამზადნენ ერევნისა და ბაქოს მასწავ-
 ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში.

მასწავლებელთა გადამზადების დროს ფართოდ იქნა გამოყე-
 ნებული კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელი
 სისტემა. 1970 წელს ასეთ კურსებზე კვალიფიკაცია იმაღლა ქარ-
 თული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული
 ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის 135
 მასწავლებელმა. სათანადო კურადღება მიექცა იმ მასწავლებელთა
 გადამზადებას, რომლებიც ერთდროულად ორ საგანს ასწავლიან
 (ქიმია-ბიოლოგია, ფიზიკა-მათემატიკა, ფიზიკა-ასტრონომია). მა-
 სობრივად გადამზადდა ქართული და რუსული სკოლების მოსა-
 მზადებელი კლასების მასწავლებელი (600 მასწავლებელი).

სკოლის ხელმძღვანელთა გადამზადბისას ტარდებოდა მათი
დახელოვნება, როგორც საგნის მასწავლებლებისა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რიგმა განათლების აღგილობრივი
ორგანოებმა ვერ უზრუნველყოს კურსებზე მასწავლებელთა საჭირო
რაოდენობით მოვლინება.

კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ კურ-
სებზე განაცხადება არ წარმოედგენათ ქ. გორის; ზუგდიდის,
ზესტავის, წითელწყაროსა, და ჩოთაროშიუს რაიონების განათ-
ლების განყოფილებებს.

დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე სამხრეთ/ოსეთის ავტო-
ნომიური ოლქის, სიღნალის, ღმანისის, ვანის, ზუგდიდის, მცხეთის,
გვევეჯორის, ცაგერისა და სამტრედიის რაიონებმა ვერ უზრუნ-
ველყვეს დაგეგმილი კონტინგენტის სრულად მოვლინება და არ
დაამყარეს სათანადო კონტროლი მათ მუშაობაზე, რის შედეგადაც
ღნიშნული რაიონების სკოლების მასწავლებელთა ნაწილი ჩამო-
შორდა დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებს.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაოთა გა-
დამზადების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მასწავლებელთა დახელოვნების რესტრიტუტს (თ. ზახაშვილი):

ა) უზრუნველყოს 1971 წელს მუშაობიდან მოწყვეტით, მუ-
შაობიდან მოუწყვეტლად და დასწრებულ-დაუსწრებლად სხვადა-
სხვა სახის კურსებზე 10000 მასწავლებლისა და განათლების დარ-
გის სხვა მუშაქის გადამზადება არსებულ გეგმის შესაბამისად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალი პროგრა-
მების მიხედვით მომუშავე მასწავლებლისათვის აღგილებზე მეთო-
დური დაკმარების საქმეს;

ბ) გაატაროს ღონისძიებანი სხვადასხვა სახის კურსების სას-
წავლო გეგმებისა და პროგრამების შემდგომი სრულყოფის და
კურსებზე სამუშაოდ მაღალგვალიფიციური ლექტორ-მასწავლებ-
ლების მოწვევისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების
განათლების განყოფილებათა გამვებმა:

ა) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახუ-
ლოვნების ინსტიტუტს. და მის ფილიალებს მასწავლებელთა
განათლების დარგის სხვა მუშაკთა გადამზადების 1971 წლის გეგ-
მის ხარისხიანად შესრულებაში;

ბ) 1971 წლის 15 ოქტომბერი წარმოუდგინონ საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნე-
ბის ინსტიტუტს დაზუსტებული სახელობითი სიები ქართული სკო-
ლების ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა-და
ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის იმ მასწავლებ-
ლებისა, რომლებიც განათლების ჰემდგომი, აღგილობრივი ორგა-
ნოების და სკოლების ხელმძღვანელების შემოწმების შედეგად წლე-
ბის მანძილზე ამედავნებენ საგნის ცოდნისა და სწავლების მეთო-
დების დაბალ დონეს, ესაკიროებათ საფუძვლიანი დახმარება, რათა
ისინი ჩარიცხული იქნან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტი-
ტუტის მიერ მოწყობილ კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-
დაუსწრებელ კურსებზე;

გ) მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა და განათლე-
ბის დარგის სხვა მუშაკთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ
პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ აფხაზეთისა და აჭარის
ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათ-
ლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ოსეთის ფეტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუ-
თაისის, წყალტუბოს, ბორჯომის, თელავის, ახმეტის, დუშეთისა
და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამ-
გებებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფი-
ლიალებს 1971 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო
ღონისძიებათა ჩატარებისათვის ჟემდევი სასკოლო შენობები:

- ქ. თბილისში—1 სკოლა-ინტერნატი, 24-ე და 37-ე სკოლები,
- ქ. სოხუმში—მე-2, მე-19 სკოლები,
- ქ. ბათუმში—პირველი სკოლა-ინტერნატი,
- ქ. ქობულეთში—პირველი სკოლა,
- ქ. ცხინვალში—სკოლა-ინტერნატი, მე-2 და მე-4 სკოლები,
- ქ. ქვთაისში—სკოლა-ინტერნატი, მე-19 და 31-ე სკოლები,
- ქ. წყალტუბოში—რუსული საშუალო სკოლა,
- ქ. ბორჯომში—პირველი და მეორე საშუალო სკოლები.

ქ. თელავში—სკოლა-ინტერნატი, პირველი და მეორე საშუალო

სკოლები,

ქ. დუშეთში—სკოლა-ინტერნატი,

ახმეტაში—სკოლა ინტერნატი,

თეთრწყაროში—სკოლა-ინტერნატი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები დამტკიცებულ საქურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში.

5. გაზეთ „საჩალხო განათლებისა“ და უურნაალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა მეტი ადგილი დაუთმონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაქთა დახელოვნების საკითხების, ხოლო საგნობრივი კრებულ-დამატებების რედაქციებმა—მეთო-დური წერილებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნების, ახალი პროგრამებით სწავლების საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) კონტროლი დაწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საჯუდგელი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1970 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განაცხადის სამინისტროს 1970 წ.
 30 დეკემბრის ბრძანება № 755

საგარეჯოსა და ხობის რაიონების სკოლებში სამუშაოდ გაგზავნილ
 ახალგაზრდა სპეციალისტებთან განათლების განყოფილებების
 მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ

1969 და 1970 წლებში საგარეჯოს რაიონის სკოლებში სამუშაოდ დაინიშნა 53, ხოლო ხობის რაიონში 33 უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი, ამათგან, სამუშაოზე გამოცხადდა საგარეჯოს რაიონში 40, ხოლო ხობის რაიონში 24 ახალგაზრდა სპეციალისტი.

შემოწმებით გამოიჩინა, რომ სამუშაოზე დაინიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტებს აქვთ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვა. მათი უმრავლესობა აღგილობრივი მცხოვრებლები არიან.

საგარეჯოსა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტები და სკოლები სისტემატურად ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ახალგაზრდა სპეციალისტთა პედაგოგიური დახელოვნების, მათი იდეურ-პოლიტიკური და თეორიული ცოდნის ღონის ამაღლებისათვის. მრ მდინარე სასწავლო წლის დასაწყისში აღნიშნული რაიონების განათლების, განყოფილებების მეთოდურმა კაბინეტებმა მოაწყეს დამწყებ მასწავლებლებთან შეხედრები, მათვის წაյითხული იქნა მოხსენებები სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ახალგაზრდა სპეციალისტებს გააცვნეს სკოლისა და მასწავლებლების წინაშე მზგომი ახალი მომცანები, სკოლების ახალპროგრამებზე გადასცვლის მნიშვნელობა და ამ პროგრამებზე გადასცვლის გრაფიკი. პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით დამწყები მასწავლებლები ესწრებიან გამოცდილი მასწავლებლების გაცემის და პირიქით.

ხობის მეორე და საგარეჯოს რაიონის მანავის საშუალო სკოლებს წლიურ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული აქვთ მასპლეგ გაზრდა სპეციალისტებისადმი დახმარების კონკრეტული ღონისძიებანი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ახალგაზრდა მასწავლებელთა მუშაობაში შეიმჩნევა რიგი ნაკლებანებანი. ხშირად ისინი ვერ ახერხებენ დაიცვან გაკვეთილების ჩატარების სწორი ორგანიზაცია, სწავლების პროცესში ზოგიერთი მათგანი ვერ ამყარებს ორგანულ კავშირს ძველსა და ახალ მასალას შორის, არასაკმარისად იყენებს თვალსაჩინოებას, ყოველთვის არ ატარებს აუცილებელ საღებონსტრუკციო ცდებს და პრაქტიკულ სამუშაოებს. არათანმიმდევრულია მათი მეშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან.

განათლების განყოფილებების მეთოდურ კაბინეტებს არ შეუსწავლიათ ყველა დამწყები მასწავლებლის მუშაობა და არ გაუტარებიათ საჭირო ღონისძიებანი მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის. ყველა დამწყები მასწავლებელი არ არის ჩაბმული მეთოდურ მუშაობაში, ნაკლებ მონაწილეობას დებულობს პედაგოგიურ კითხვებში და სხვა. უცხოური ენების დამწყებ მასწავლებელთა საქმიანობა ორი წლის მანძილზე სპეციალისტებს არ შეუსწავლიათ და მათთვის კვალიფიცირებული დახმარება არ გაუწევიათ, ისინი არ არიან მომარაგებული აუცილებელი თვალსაჩინოებებით, როგორიცაა საკითხავი წიგნები უცხოურ ენებში, სასწავლო ფილმები და ფირფიტები, გრამატიკული ტაბულები და სხვა.

აღნიშნულ რაიონებში არ არის სათანადო ზრუნვა ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილზე დამაგრებისა და მათი დენადობის აღმოსაფხვრელად, ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი უფასო კომუნალური მომსახურებით.

ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოთ საგარეჯოსა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს (ი. ბელიაშვილი, შ. ხარებავა):

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ახალგაზრდა სპეციალისტების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 5 აგვისტოს ბრძანებით;

ბ) პერიოდულად მოაწყონ დამწყები მასწავლებლების შეკრებები, ჩატარონ მათთვის მოხსენები და საუბრები პედაგოგური მუშაობის აქტუალურ საქითხებზე;

ფართოდ ჩააბან დამწყები მასწავლებლები სასკოლო, სარაიონო მეთოდური გაერთიანებების საქმიანობაში;

გ) გაატარონ საჭირო ღონისძიებები უცხოური ენებისა და სხვა საგნების სწავლების თვალსაჩინოებებით უზრუნველსაყოფად;

დ) დაავალონ სკოლების ხელმძღვანელებს, რათა მათ აღმოშენონ სისტემატური დანართება დამწყებ მასწავლებლებს მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაუმჯობესებაში;

ე) აღვილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ სოფლად მომუშავე მასწავლებლები უფასო კომუნალური მომსახურებით და შეუქმნან მათ ყველა პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

2. საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დამწყებ მასწავლებელთა პედაგოგიურ-თეორიული და მეთოდური დაოსტატების საქმეს. განათლების აღვილობრივ ორგანოებთან ერთად გაატაროს საჭირო ღონისძიებანი დამწყებ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) პერიოდულად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში განათლების აღვილობრივი ორგანოების მიერ ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის მდგომარეობა და წარმოადგინოს წინადადებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელიდ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლები, სამინისტროს 1970 წ-
 28 დეკემბრის ბრძანება № 739

სამტრედიის სპეციალურ სკოლაში აღსაზრდელთა შრომითი
 სწავლების დაყენების გემოწმების შედევების შესახებ

შემოწმებით გამოიჩინა, რომ სამტრედიის სპეციალურ სკო-
 ლაში აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა და სასწავლო სახელო-
 ნოების მუშაობა ვერ აკმაყოფილებენ ამ ბავშვებთან მუშაობის-
 სპეციალურ პირობებს. არსებულ სასწავლო სახელოსნოებში შეიძ-
 ლება დასაქმებული იქნეს მხოლოდ 20-25 აღსაზრდელი. სახე-
 ლოსნოები არაა იმდაგვარად მოწყობილი, რომ ბავშვებს საშუა-
 ლება პქონდეთ დაეუფლონ მწარმოებლურ შრომას, გარდაიქმნან
 შრომის პროცესში და სკოლიდან გასვლის შემთხვევ შესძლონ
 იმუშონ ამა თუ იმ პროცესის მიხედვით.

სკოლაში ჩარიცხულ, გამოსწორებულ და მშობლებს ჩაბარე-
 ბულ 143 მოსწავლიდან არცერთს არ მიუღია რაიმე პროცესიული
 განათლება. ზოგიერთი მათგანი კვლავ მოხვდა ქუჩის გავლენის
 ჭეშ და ხელახლა დაუბრუნდა სპეცსკოლას ან გაიგზავნა სხვა
 სპეცსკოლაში. ნაკლები უურადღება ექცევა სპეცსკოლიდან ვაშვე-
 ბულ აღსაზრდელების სამუშაოზე მოწყობის საქმეს.

დღემდე სისრულეში არ არის მოყვანილი სსრ კავშირის გა-
 ნათლების სამინისტროს 1970 წლის 18 მარტისა და 5 ოქტომბრის
 მითითებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-
 როს 1968 წლის იანვრისა და 1969 წლის 18 ივნისის №№ 422
 და 346 ბრძანებები.

სპეციალური სკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნო დღეზე
 დე უზრუნველყოფილი არ არის სასწავლო ხასიათის აუცილებელი
 დაზგებით, ჩარჩებით, ხელის სამუშაო იარაღებით, ნედლეულითა
 და დამბარე მასალებით.

სპეცსკოლაში შეზიდული 13 ათასზე მეტი მანქანად ღირებული 30 დასახლების დაზგა-დანადგარები უმოქმედოდ იწყვია, რომელთა დამონტაჟება არ შეიძლება, ვინაიდან სამტრედიის სპეციალური სკოლის მცირე — 11—15 წლის ასაკის ბავშვების დაშვება ამ დაზგებთან ყოვლად გაუმართლებელია.

სპეცსკოლის შენობა-ნაგებობას სჭირდება კაპიტალური რემინტი, ავარიულ მდგომარეობაშია საძირებელი კორპუსის აღნები, სპორტდარბაზის იატაკი, ცენტრალური გათბობის სისტემა და საქვაბე მეურნეობა, ან მუშაობს კანალიზაციის ქსელი.

საშეფერო ორგანიზაციები: ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სისახლე და სამტრედიის ჩაის საწნევი ფაბრიკა ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარებას უწევენ სპეცსკოლას.

სპეციალური სკოლის ადმინისტრაცია და აღმხრდელ პედაგოგები ჯერ კიდევ სუსტად იბრძეიან ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სულიერი და მორალური სფეროს გარდაქმნისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის სპეციალური სკოლის დირექტორმა (ამხ. მ. შენგელიამ):

- გადამჭრელი ზომები მიიღოს სპეციალურ სკოლაში შრომითი სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;
- გააძლიეროს კონტროლი და დახმარება შრომის მასწავლებლების მუშაობაზე, აამილოოს მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი;
- იზრუნოს სპეციალური სკოლიდან გაშვებული ბავშვების მომავალზე, არასრულწლოვანთა კომისიების მეშვეობით მათს სამუშაოზე მოწყობასა და სწავლებაზე;
- კველა ზომები მიიღოს 1971 წლის დამლევამდე სპეცსკოლაში სანიმუშო სასწავლო სახელოსნოების მოსაწყობად;
- შეისწავლოს და წამოიყენოს საკუთარი მოსაზრებანი და წინადაღებანი სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების გახსნასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 1971 წლის 25 დეკემბრისათვის განათლების სამინისტროს მოახსენოს ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

2. დებულებით გათვალისწინებული სასწავლო სამართლო
ხელორენის განსაზღვე მიზანშეწონილად ჩაითვალოს სამტრედიანი
სპეციალური ამჯერად მოეწყოს სრულყოფილი სასწავლო-სადურგ-
ლო და საზეინქლო სახელოსნოები.

3. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამბ. ი. კვაჭაძე) სამტრედის რაიონის განათლების განყოფილებათან
ერთად უზრუნველყოს სამტრედის სპეციალი სათანადო ცენტისა
და გამოცდილების მქონე კადრებით.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამბ. ს. უჩა-
ნეიშვილი):

ა) თბიქველის წესრიგში მოსაყვანად გამოყოს საჭირო
მასალა;

ბ) შეისწავლოს საძინებელი კორპუსის აივნების დაზიანების
გამომწვევი მიზეზები და მიღლოს ზომები მათ შესაკეთებლად.

5. მომართებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ
(ამბ. ს. არეველაძე):

ა) სამტრედის სპეციალის სასწავლო სახელოსნოები მო-
მარაგოს საჭირო დაზგებით, ჩარჩებით, სამუშაო-იარაღებითა და
ნედლეულით;

ბ) წამოაყენოს წინადადება სკოლაში შეზიდულ უნივერსა-
ლური დაზგა-დანადგარების გამოყენებისა და მათი გადაცემა გადა-
ნაწილების შესახებ.

6. განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორამ (ამბ. თ. ჭიქოძე) მიაღლინოს სამტრედის სპეციალური სპეციალისტი
შენობა-ნაგებობებში სასწავლო სახელოსნოების განლაგების, სა-
რეკონსტრუქციო და ოუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩასა-
ტარებლად წინადადებების შესასწავლად დაწამოსაყენებლად.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამბ. ა. კვაჭაძე) უზ-
რუნველყოს სამტრედის სპეციალის სასწავლო-სახელოსნოების
მოსაწყობად და შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტის ჩასა-
ტარებლად სათანადო თანხების გამოყოფა.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საპატივო სახლების სამართ-
ველომ (ამბ. რ. კანდელაკი):

ა) განსაზღვროს სამტრედის სპეციალის სასწავლო სახე-
ლოსნოების მუშაობის პროფილი;

ბ) თვალყური ადევნოს აღნიშნული ბრძანების შესრულების
მიმდინარეობას და პერიოდულად მომახსენოს სპეციალურ სტრუქტურაზე
ბული მდგომარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1970 წლის 20 ნოემბრის დადგენი-
ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.
 11 იანვრის ბრძანება № 10

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სამართლებრივი
 აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კომუნისტური მშენებლობის პირობებში საჭიროა განსაკუთ-
 რებული ყურადღება მიექცეს სოციალისტური კანონიერების
 შემდგომ განმტკიცებას, მთელი საზოგადოების სამართლებრივი გა-
 ნათლების სრულყოფას, საბჭოთა სახელმწიფოს კანონიერებისაღმი
 ღიღი პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას, მა-
 ღარაზმვას დანაშაულებრივ და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინება
 თა წინააღმდეგ ბრძოლაში. მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის
 გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკი-
 ცებლად ბრძოლის გაძლიერებისათვის დასახულ ღონისძიებებში
 მნიშვნელოვანი აღგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ზოგადსაგან-
 მანათლებლო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებ-
 რივი კულტურის ამაღლებისა და მათ მიერ სოციალისტური საზო-
 გადოების კანონებისა და ნორმების შეგნებული დაცვის საქმეს.

რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სათა-
 ნადო ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კანონებისაღმი პატივისცემის
 სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის საქმეს. მასწავლებელთა
 და მშობელთა იურიდიული ცოდნის ამაღლების მიზნით უკრნალ
 „სკოლა და ცხოვრების“ ფურცლებზე სამართლებრივი აღზრდის
 აქტუალურ საკითხებზე სისტემატურად ქვეყნდება წერილები და
 სტატიები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების
განყოფილებათა გამკერძოდა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სამართ-
ლებრივი აღზრდისა და მათი იურიდიული ცოდნის ამაღლების მიზ-
ნით გადამჭრელი ზომები მიიღონ ისტორიასა და საზოგადოებათ-
მცოდნეობის გაკვეთილებზე საბჭოთა სამართლის საფუძვლების
სწავლების გასაუმჯობესებლად;

ბ) პროექტურისა და სასამართლო ორგანოების მუშაյთა
დახმარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რეგულარულად
ჩატარონ ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხების სადამოები,
სემინარები საბჭოთა კანონმდებლობისა და დამნაშავეობასთან
ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე;

გ) პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების თემა-
ტიკაში სათანადო აღვილი დაუთმონ სოციალისტური კანონიერე-
ბის დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის
ბრძოლის საკითხებს.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამშ. თ. ზახა-
შვილი) საქურსო ლონისძიებების ჩატარებისას მასწავლებელთა
იურიდიული ცოდნის ამაღლების მიზნით გაითვალისწინოს ლექ-
ციების ციკლი საბჭოთა სამართლის საფუძვლებზე.

3. მეთოდურმა განყოფილებამ (ამშ. ვ. ცავავა) საქართველოს
სსრ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის განყოფილებასთან ერთად
მიმღინარე სასწავლო წლის ბოლომდე, მოსწავლეთა სამართლებ-
რივი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, შეიმუშაოს საბჭოთა სა-
მართლის საფუძვლების ფარულობრიური კურსის პროგრამა, იმ
ვარაუდით, რომ 1971—1972 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის
ზოგიერთ სკოლაში შემოღებული იქნეს ამ კურსის სწავლება.

4. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ურნალ „სკოლა და
ცხოვრების“ რედაქციები შემოილონ სპეციალური განყოფილებები
და რებრივები, სადაც მოქმედი და განსაკუთრებით ახალი კანონ-
მდებლობის ძირითად საკითხებზე ახსნა-განმარტებითი მასალების
გამოქვეყნებასთან ერთად ყურადღება გაამახვილონ მასწავლე-
ბელთა და მშობელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე. სი-
სტემატურად განაზოგადონ იმ მოწინავე მასწავლებლებისა და

პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ზრდიან მოზარდ თაობას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, სოციალისტური საკუთრების დატაცებისადმი, მუქთახორფბრივი სადმი, ცხოვრების წესების დარღვევისადმი შეურიგებლობის დაცულის გვეთვებით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.
11 იანვრის ბრძანება № 11

რესპუბლიკაში სახეოლო მშენებლობის გეგმების შესრულების
 მიზღინარეობის შესახებ 1970 წლის 1 დეკემბრისათვის

აღნიშნოს, რომ 1970 წლის 1 ოქტომბრისათვის დამთავრდა
 და გადაეცა საექსპლოატაციოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
 ახალი შენობები 21770 მოსწავლე ადგილით ან გეგმის 100%,
 საბაჟვო ბალები 2 000 ბავშვთა ადგილით ანუ წლიური გეგმის
 47% და სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, სასკოლო
 ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები—2950
 კვ. მეტრი, ანუ წლიური გეგმის 46%.

მოიჯარადო მშენებელი ორგანიზაციების მიერ მიღებული
 ქმედითი ზომების შედეგად მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა და-
 მთავრდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ დამატებით ბაგა-ბა-
 ლები 2280 ბავშვა-ადგილზე და სკოლები დამტკიცებული გეგმის ზე-
 ვით 800 მოსწავლე ადგილზე, რის შედეგად სკოლების მშენებლობის
 როგორც 1970 წლის, ისე ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით
 იქნება შესრულებული.

მიმდინარე წელს დასამთავრებელი და ექსპლოატაციაში გა-
 დასაცემი ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამ.
 გ. ვაშაკიძეს მიიღოს საჭირო ზომები ქ. თბილისში ჩამორჩენილი
 სამი ბაგა-ბალის მშენებლობაზე ზიგა მოპირკეთ ებითი სამუშაოების
 დასამთავრებლად, რომ საშუალება მიეცეს „საქმონტაჟსპეცმშენის“
 სამმართველოს შეასრულოს ა/წლის 25 დეკემბრამდე ცენტრალური

გათბობის, წყალსაღენ-განალიზაციის და ელექტრომონტაჟის მუშაოები შესაბამისად აღებული ვალდებულებისა.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქონ-ტაქსპერმშენის“ სამართველოს უფროსს ამჩ. ა. განვიას:

ა) დაჩქაროს დაწყებული სანტიქტური სამეწოების დამთავრება ქ. გურჯაანის, საჩხერის, ქ. ზუგდიდის, ლაგოდეხის, ქ. თბილისის, ქ. რცხთავის, ქ. ბათუმის, ქ. ქობულეთის, ყვარლის საბავშვო ბაგა-ბაღების და ბარისახოს სკოლა-ინტერნატის სიძინებული კორპუსის მშენებლობაზე;

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები ქ. თბილისის ვანის, ყვარლის, ქ. ჭიათურის ბაგა-ბაღის მშენებლობაზე სპეცსამუშაოების დახა-წყებად და უზრუნველყოს მათი დამთავრება მ/წლის 25 დეკემბრამდე;

გ) მიიღოს საქირო ზომები ქ. გურჯაანის, ლაგოდეხის, იყალთოსა და ლობის ბაგა-ბაღებს მშენებლობაზე ერცექტებით და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსასწორებლად.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრს ამჩ. შ. თათარაშვილს დააჩქაროს გალის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და უზრუნველყოს მისი დამთავრება მ/წლის 25 დეკემბრამდე.

4. დაევალოს აფხაზების ასსრ, აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ისეთის საოლქო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებს დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე მიმდინარე წელს და-სამთავრებელი და ექსპლოატაციაში გადასაცემი განათლების ობი-ექტების მშენებლობის აუცილებლივ დამთავრების, სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემისა და დაშვებული სახელმწიფო კაპი-ბანდების თანხების მთლიანი ათვისებისათვეს.

5. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის და ტექნიკური ზე-დამხედველობის განყოფილებებს (ამჩ. ს. უჩანერშვილი, ამჩ. ვ. გოგიძე):

ა) შეამოწმონ ჩამორჩენილი ბაგა-ბაღების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ საქირო ზომები წამოჭრილი ტექნიკური საკითხების აუგილზე გადასაწყვეტად და შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ლირებულების დროულად გადასახდელად;

ბ) მიმღინარე წლის 20 დეკემბრამდე გადაანაწილონ ფინან-
სიჩემბა იმ ობიექტებზე, სადაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
გადაჭარბებით სრულდება, ჩამორჩენილი ობიექტების ხარჯზე და-
დაავალონ ინჟინერ-ტექნიკური მეცნიერებების შეადგინონ აღგილებზე
ურთიერთშედარების აქტები მოიჯარადო მშენებელ ორგანიზა-
ციასთან.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშევარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.
 12 იანვრის ბრძანება № 13

ქ. თბილისის სახალხო განათლების ორგანოების მიერ სარაიონო
 საკონტროლო წერების ჩატარების შესახებ
 მშობლიურ ლიტერატურაში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ
 მოისმინა და განიხილა. რა თბილისის რაიონების სახალხო განათ-
 ლების განყოფილებათა მიერ მშობლიურ ლიტერატურაში სარაიონო
 საკონტროლო წერების ჩატარებისა და მისი გაუმჯობესების ღო-
 ნისძიებათა შესახებ ინსპექტორ ე. ქურციკიძისა და მეთოდისტ
 ვ. გასპარაშვილის მოხსენება, აღნიშვნავს, რომ საკონტროლო სა-
 მუშაოები მშობლიურ ლიტერატურაში, ჩატარებული ქ. თბილისის
 სახალხო განათლების რაიონულ ორგანოთა მიერ ამ საგნის სწავ-
 ლების მდგომარეობისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების ეზ-
 ერთ რაციონალურ ფორმას წარმოადგენს.

სარაიონო საკონტროლო წერის მართებულად ჩატარება შე-
 საძლებლობას გვაძლევს შევამოწმოთ მოსწავლეთა მიერ პრო-
 გრამული მასალის ათვისების სილრმე და სიმტკიცე, მათი ნაკი-
 თხობა და მხატვრული გეომოგრების გაწვითაოების დონე; კლინდება
 საგნის სწავლების საქმეში არსებული ლირსება-ნაკლოვანებანი.

მაგრამ ქალაქის რიგ რაიონებში ადგილი აქვს დარღვევებს
 სარაიონო წერითი სამუშაოს ჩატარებასა და შეფასებაში. სახალხო
 განათლების განყოფილებები წერას ატარებენ მხოლოდ დამამთავ-
 რებელ მეათე კლასებში, ხოლო მეცხრე კლასებში ამგვარი სამუ-
 შაო არ ტარდება, რაც შეეხება სომხურ სკოლებს, სარაიონო სა-
 კონტროლო წერა სრულიად არ ჩაუტარებით მე-40 და 59-ე საშ.
 სკოლების მე-10 კლასებშიც კი (კალინინის რაიონი). ადგილი აქვს
 შემთხვევებს, როცა სარაიონო წერას ატარებენ მეოთხედის ბოლო
 დღეებში და მისი ჩატარების დროს არ უთანხმებენ სკოლის დი-
 რექციებს, რის შედეგად ადგილი აქვს სარაიონო საკონტროლო

წერის დამთხვევას რიგით საკონტროლო წერასთან ამა თუ იმ
საგანში.

განათლების განყოფილებები, ორცოდ იშვიათად, საკონტ-
როლო წერას ატარებენ საგნის მასწავლებლის არყოფნის შემთხვე-
ვაშიც, წერის შედეგებს არ ისმენენ და არ განიხილავენ რაიონების
განათლებას განყოფილებათა საბჭოები.

თემატიკის წერჩევა ლდება მოუფიქრებლად. მისი შედეგინისა-
თვის არ იჯვევენ მაღალგალიფიციურ, გამოცდილ მასწავლებ-
ლებს, რის გამოც, ხშარია, თემის მოცულობა ვერ თავსდება მისი
შესრულებისათვას გათვალისწინებულ დროში, ადგილი აქვს თე-
მების განმეორებას და ა. შ.

ასე, მაგალითად, 1969/70 სასწავლო წელს 1-ლი მაისის რაი-
ონის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ორ სხვა თემასთან
ერთად მიეცათ თემა—„კაპიტალიზმის პირველყოფილი სახე“,
რომლის განსხვავის უნდა გამოეყენებინათ მოკლე ნაწყვეტი
ვ. მაიაკოსკის პოემიდან „ძარგი“. აღნიშნული თემა არ იძლევა
ნაკითობისა და მხატვრული გვემოენებს გამოვლენის საშუალებას.
ასეთივე მდგომარეობა იყო ოქტომბრის რაიონში, საღაც მო-
სწავლეებს ორ სხვა თემასთან ერთად დასაწერად მიეცათ „აზალი
სვანეთი“ შალვა დალიანის „თეთნულდის“ მიხედვით.

კალინინის რაიონში 1969/1970 სასწავლო წელს მოსწავლეებს,
სხვა თემებთან ერთად, დასაწერად მიეცათ „მოწინავე ადამიანები
ლ. ტოლსტიოს რომანში „ომი და მშვიდობა“, ხოლო ორჯონიკი-
ძის რაიონში—„გალაქტიონ ტაბიძის პოეზია“, რომლის შესრულე-
ბაც მიცემული ორი საათის განმავლობაში შეუძლებელია. საგნის
მასწავლებლები, რომლებმაც შეამოწმეს წერათი ნამუშევრები,
იძულებული გახდნენ დაეკლოთ ნიშნები თემის არასრულყოფილი
გახსნისა, თუ დაუმთავრებლობის გამო.

26 კომისრის რაიონის მოსწავლეებს დასაწერად მიეცათ თე-
მა—„ლენინი და ბავშვები“, მაშინ, როცა ამ თემისათვის საჭირო
მასალა სასწავლო პროგრამებში არ არის. ოქტომბრის რაიონში
კი მოსწავლეებს, ნაცვლად სამი თემისა, დასაწერად მისცეს ერთი.

ამგვარად, სხვადასხვა რაიონის მოსწავლეები წერით სამუშაოს
ასრულებენ განსხვავებულ პირობებში, რაც შეუძლებელს ხდის
დადგინდეს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების ერთიანი კრი-
ტერიოუმი.



1. განათლების რაიონულმა განყოფილებებმა სარაიონო სამუშაოები კონტროლო წერითი სამუშაოები მშობლიურ ლიტერატურაში ჩაა-
ტარონ რესპუბლიკის ცველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლის მე-9, მე-10 კლასებში ნახევარ წელიწადი ერთჯერ,
თვალყური აღევნონ, რომ სამუშაო არ ჩატარდეს მეოთხედის ბო-
ლო დღეებში.
2. საკონტროლო წერის ჩატარების დღე წინასწარ შეათანხ-
მონ სკოლების აღმინისტრაციებთან, არ დაუშვან შისი დამთხვევა
სხვა საკონტროლო წერებთან.
3. თემების შერჩევისა და წერითი ნამუშევრების შემოწმები-
სათვის გამოიყენონ მხოლოდ მაღალკვალიფიციური პედაგოგები.
4. მოსწავლეებს არჩევანისათვის მიეცეს სამი თემა, რომლე-
ბიც მათ მიერ მეოთხედში მიმდინარე მასალის შესწავლის საფუ-
ძველზე იქნება შედგენილი, თემის მოცულობა უნდა შეესაბამებო-
დეს ამ სამუშაოსათვის გამოყოფილ დროს.
5. სამუშაოს შესრულებას დაეთმოს სამი გაკვეთილი
6. წერითი ნამუშევრები, შეფასებული „5“-ზე ან „4“-ზე შე-
მოწმდეს განათლების განყოფილების კომისიის მიერ, დანარჩენი—
სკოლაში.
7. აუცილებლად ჩატარდეს სარაიონ-საკონტროლო წერის
შედეგების ანალიზი და განხილვა განათლების განყოფილებათა
საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშექარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდება-
რებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა
წერილების განხილვის, წერილებში დასმული საკითხების

გადაწყვეტისა და ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის გაფავნის
ვადების დაცვის შესახებ

გავეცანი რა ქ. თბილისში, ქ. რუსთავეში, თბილისის ორ-
ჯონიერის და 1-ლი მაისის, გურჯაანის, ზესტაფონის, ბოლნისის
და გარდაბნის რაიონებში ჩატარებული შემოწმებისა და სამინისტ-
როს ცენტრალურ აპარატში არსებულ მასალებს, იღვნიშნავ, რომ
დასახელებული რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფი-
ლებები ხელმძღვანელობენ მოქალაქეთა წინადაღებების, განცხადე-
ბებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ არსებული დად-
გნილებით.

მშრომელთა წერილების განხილვა აღნიშნულ განათლების
განყოფილებებში ძირითადად წარმოებს ხელმძღვანელი მუშაქების
მიერ და დასმული საკითხების გადაწყვეტა ხდება დადგენილ
ვადებში.

ამასთან ურთად, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების
განხილვის საქმეში არსებობს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანე-
ბები, მოუწესრიგებელია შემოსული კორესპონდენციის მოძრაობის
ორგანიზაცია ბოლნისის და ზესტაფონის რაიონებში და არადამა-
კმაყოფილებლადაა დაყენებული რუსთავში და გარდაბნის რაიონ-
ში, სადაც მიღებული განცხადებების და საჩივრების ორი მესამედი
არ არის რეგისტრირებული. მშრომელთა განცხადებებში დასმული
საკითხების გადაწყვეტის და ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის
დაგვიანებით შეტყობინებას დაწესებულ ვადებთან შედარებით
იღვილი იქნება: ქ. თბილისის განათლების განყოფილებაში, თბილი-

სის 1-ლი მაისის სახელობის, გურჯაანის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში. დასახელებულ რაიონებსა და ქალაქებში სათავო კურადღება არ ეთმობა საჩივარ-განცხადებების გაანალიზებას და საჭირო ლონისძიებების დასახვას; არ წარმოებს განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზე განცხადება-საჩივრების განხილვა. ქ. თბილისში, ქ. რუსთავში და გარდაბნის რაიონში მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში გამოუყენებელია საზოგადოებრივი აქტივი.

აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროში მიღებული განცხადებების დიდი ნაწილი შეეხება ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა და მოგვარება უნდა ხდებოდეს აღილებზე—სკოლებსა და განათლების განყოფილებებში (გაკვეთილების განაწილება და სხვ.);

ბოლნისის, გარდაბნის და გურჯაანის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს არ აქვთ გამოყოფილი მშრომელთა მიღების დღეები და საათები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მშრომელთა წინადაღებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1968 წლის 17 ივნისის № 382 ბრძანებით.

ბ) განიხილონ სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 17 ივნისის ბრძანება № 382-ის შესრულების მიმღინარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ამ ბრძანებით დადგენილი წესების განუხრელად გასატარებლად;

გ) დაამყარონ საჭირო წესრიგი მშრომელთა წინადაღებების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის საქმეში;

დ) აამაღლონ პარატის მუშაკთა პასუხისმგებლობა მშრომელთა წერილების დოკუმენტ განხილვის, მათში დასმული საკითხების გადაწყვეტისა და ზემდგომი თრგანოებისათვის შედევების მოსახსენებლად;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გადა-
გზავნილი მშრომელთა წერილები და განცხადებები შეამოწმონ
უშუალოდ ასსრ განათლების სამინისტროების, ავტონომიური ოლ-
ქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა მუ-
შაკების საშუალებით და შედეგების შესახებ მოახსერონ საქართვე-
ლოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულ ვაზაში;

ვ) სათანადო სასჯელი დაადონ იმ მტშაკებს, რომლებიც გა-
მოიჩენენ ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას მშრო-
მელთა წერილების განხილვისა და მათში დასმული საკითხების
გადაწყვეტისადმი;

2. ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, თბილისის 1-ლი ბაისის,
ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანისა და ზესტაურის რაიონების
განათლების განყოფილებათა გამგებს ვაფრთხილებ უმოკლეს
დროში უზრუნველყონ იმ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა
აღმოფხვრა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამშართვე-
ლო-განყოფილებათა უფროსებმა დააკისრონ რესპუბლიკის რაიო-
ნებსა და ქალაქებში მივლინებულ მუშაკებს შეისწავლონ თუ რო-
გორ ხორციელდება არსებული დალვენილებანი მოქალაქეთა წინაღა-
დებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ
და მოხსენებით ბარათებში სათანადო აღვილა დაუთმონ აღნიშნულ
საკითხებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1970 წლის 16 დეკემბრის დადგე-
ნილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

გ ი ნ ა რ ს ტ ე მ ე ბ ი ს

1. ბრძანება № 747—1969—1970 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურს-დამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების შედეგების შესახებ	3
2. ბრძანება № 746—რესპუბლიკის სკოლების მოსამზადებელ კლასებში სა-სწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ	7
3. ბრძანება № 770—ლანჩქუთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	11
4. მოსხენებითი ბარათი—ლანჩქუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	14
5. დაგენილება—ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	38
6. ბრძანება № 754—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1970 წლის შედეგებისა და 1971 წლის გეგმის შესახებ	44
7. ბრძანება № 755—საგარეჯოსა და ხობის რაიონის სკოლებში სამუშაოდ გაგზავნილ თაღლაზრდა ჰპეციალისტებთან განათლების განყოფილებების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ	48
8. ბრძანება № 739—საგარეჯოის სპეციალურ სკოლაში ოლაზრდელთა ზრომითი სწავლების დაყრენების შემოწმების შედეგების შესახებ	51
9. ბრძანება № 10—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	55
10. ბრძანება № 11—რესპუბლიკური სასკოლო მშენებლობის გეგმის შესრულების მიმღინარეობის შესახებ 1970 წლის 1-ლი დეკემბრისათვეის	58
11. ბრძანება № 13—ქ. თბილისის სახალხო განათლების ორგანოების მიერ სარაიონო-საკონტროლო წერების ჩატარების შესახებ მშობლიურ ლიტე-რატურაში	61
12. ბრძანება № 729—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა წერილების განხილვის, წერილებში დამტული საკითხების გადაწყვეტისა და ზემდგომი ორგანოებისათვის პასუხის გაგზავნის ვადების დაცვის შესახებ	64

18.15/,



რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კპპ.

ხელმიწიერილი დ 1 ბეჭდი 21/V-71 წ. ანთურიძის ზომა $6 \times 9,5$,
ქაღალდის ზომა 60×84 , ცარცის ფორმათა რაოდენობა 4,25.

შეკვ. № 89.

უმ—05971

ტარიფი 5,000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო
კომისიურის მთავარპილიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19